საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 2015 წელი.

№231 (7876)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

გიორგი ვოლსკი:

ინტელექტუალ ბოკერიას და უინტელექტო ვაშაძის ჯგუფები ერთმანეთის დესტაბილიზაციის მოწყობაში ეჯიბრებიან

③

ნატოს ახალი სტრატეგია... შეკავება, თავდაცვა!

⑥

ნუ გეშინიათ, ინფლაცია არ „შეგვჭამს“

②



ხელისუფლება ადანაშაულებს... ოპოზიცია შეთქმულების თეორიებს ავითარებს... მარგველაშვილი პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს იცავს

④

გლობალური დათბობა

⑦

◎ ასე ჩემო მანასეო?!.

სინდისი მართლაც კარგი საქონელია, ბ(მ)ურუსიძევ!

— სინდისი რომ მართლა საქონელი იყოს და თანაც — კარგი, სპეკულანტებსა და გადამყიდველებს უთუოდ ექნებოდათ დახლქვეშ გადამალულიო, — წინაპართა ამ ბრძნულ გამონათქვამზე იქედნურად ქირქილებდნენ საბჭოური ობივატელები და ამით ამართლებდნენ თავიანთ მეშჩანობას...

გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ. ვერც რკინის ნებისყოფას თუ შეუდრეკელობას... ეს და მარტო საზოგადოების გამორჩეული წევრებისთვის დამახასიათებელი სხვა ვაჟკაცური თვისებები მხოლოდ ერთეულთა ხვედრია!

მაგრამ სინდის-ნამუსი კი ყველას მოეთხოვება!

— მე რომ მაშინ სიმართლე მეთქვა, დღეს მკვდარი ვიქნებოდიო, — ასე უპასუხა კუდ-ის ყოფილმა თანამშრომელმა ოლეგ მელნიკოვმა ბრალდებულ სააკაშვილის ადვოკატ ოთარ კახიძის შეკითხვას, რატომ შეცვალეთ, როგორც მოწმემ, მანამდე სასამართლოსთვის არაერთხელ მიცემული ჩვენება გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებითო.

თქვა კაცმა სიმართლე, როცა იგრძნო, რომ ამის გამო წუთისოფელს არავინ არ გამოასალმებდა.

მართალია, მამა აბრამის ბატკანი არც ის ყოფილა, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ ეს სიმართლის თქმაც იყო და ერთგვარი მონანიებაც.

ახლა კიდევ ერთი მაგალითი:

„საკუთარ სინდისთან მართალი ვარ“, — ამაყად ამბობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი მდივანი ლევან ბ(მ)ურუსიძე, ახლა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობა რომ სურს და ამის გამო საზოგადოებაში ატეხილ დიდ ვნებათაღელვას არაფრად მიიჩნევს.

— მერე რა, რომ სტრასბურგის სასამართლომ გაამართლა ჩემ მიერ სასჯელგამოტანილი სულხან მოლაშვილი და საქმის ხელახალი გამოძიება მოითხოვა!

— გირგვლიანის მკვლელთა მიმართ გამოტანილი ჩემი განაჩენიც სწორი იყო!

— არც სტრასბურგის სასამართლოს მიერ 2005 წელს უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე ჩემი განაჩენის არამართლზომიერად ცნობის გამო ვგრძნობ პასუხისმგებლობას, რადგან მიმაჩნდა, რომ კანონის შესაბამისად ვმოქმედებდი!

— მერე რა, რომ გადაცდომები მქონდა — თეორიულად ყველას შეიძლება შეეშალოს და ამას განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევ!

— არ მახსოვს, „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეში ვმონაწილეობდი თუ არა (არადა, სწორედ მისი გადაწყვეტილებით მავან ვარდუკაძეს შესაძლებლობა მიეცა, იძულებითი აღსრულების გზით ბანკიდან 711 831 ლარი უკანონოდ მიეღო — რ. რ.)!

„კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლევან მურუსიძის მრავალ ასეთ თავხედურ-გამაოგნებელ განცხადებას ნახავს მკითხველი!

არანაირი მონანიება, არანაირი, თუნდაც იოტისოდენა, წუხილი დაშვებული არაერთი შეცდომა-გადაცდომის გამო... მხოლოდ უკიდეგანო თავხედობა და... გაღმა შემდავეგლის(?!) პოზიცია!

— სააპელაციო სასამართლოში სამიდღემჩიო მოსამართლედ ჩემი დანიშვნის დროს კენჭისყრისას იუსტიციის საბჭოს თითოეულ არამოსამართლე წევრს ვურჩევ (დააკვირდით, ვთხოვო კი არა, ვურჩევო — **რ. რ.**), **ჩემი წარსული გაითვალისწინონო,** — ისეთი რიხით ამბობს, თითქოს თოთო ბავშვივით უმწიკვლო იყოს.

თუმცა ეს რაა, — **იუსტიციის მინისტრთან შეხვედრაზე 150 მოსამართლე ჩემს მხარდასაჭერად მოვიდა, მეტის მოყვანაც შემეძლოო!** — ამბობს.

ხედავთ? იმუქრება კიდეც!

იმ ბავშვისა არ იყოს, გამდის და იმადაც ვტირიო!

მგლის თავზე სახარების კითხვას მართლაც არა აქვს აზრი.

ამიტომ ერთსღა ვიტყვი (თუმცა ეს თქვენწაირი არსებებისთვის შეიძლება ჩინურიც იყოს): გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ სინდისი მართლაც კარგი საძონელია, უფალო ბ(მ)ურუსიძევ, ის სინდისი, თძვენებრ შუბლზე ძარღვგაწყვეტილებს რომ არა აძვთ!

მაგრამ ვიმედოვნებთ, იგი, სინდისი (და კეთილგონიერებაც), თძვენს ამომრჩევლებს უთუოდ ეძნებათ!

რუსლან რუსია

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

თავისუფლება არ ნიშნავს, რომ ყველაფერი თქვა და აკეთო

„თუ არ გწამს ღმერთის, მაშინ უნდა იწამო კანონისl“ – აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი მის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც რელიგიური სიწმინდეებისა და ღვთისმსახურის შეურაცხყოფისთვის ფულადი ჯარიმების დაწესებას ითვალისწინებს,

„ყველაფრის თქმა, რაც ენაზე მოგადგება, არ შეიძლება. ადამიანი ამბობს, რომ თავისუფალია. თავისუფალი, ჩემი აზრით, გიჟია. თავისუფლება არ ნიშნავს, რომ ყველაფერი თქვა. თავისუფლება არ ნიშნავს, რომ რაც მოგესურვება, ის გააკეთო. რაღაცის გამოხატვას, თუ საზოგადოებისთვის მიუღებელია, უნდა მოერიდო. შესაძლებელია, მე თქვენ გაკრიტიკოთ, მაგრამ გააჩნია როგორ გაგაკრიტიკებთ. კრიტიკა მისაღებია, თუმცა შეურაცხყოფა სხვა რამეა“, – აცხადებს ჯაჭვლიანი.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილებით ნებისმიერი რელიგიის მქონე ადამიანის შეურაცხყოფის ფაქტები შემცირდება

„თუ არ გწამს ღმერთის, მაშინ უნდა იწამო კანონის. როდესაც ადამიანი პირჯვარს იწერს, როდესაც ადამიანი მეჩეთში შედის და ლოცულობს, არ უნდა შეურაცხყო. არ შეიძლება ღორის თავის მიჭედება მედრესეზე, არ შეიძლება ჯვარზე ღორის გაკვრა. ყველა რელიგიას აქვს თავის დოგმატიკა და აქედან გამომდინარე, იმის განსაზღვრა, თუ რა არის შეურაცხყოფა, ძალიან ადვილია... შეურაცხყოფაა, როცა ლოცულობ და დაგცინიან. ასევე არ შეიძლება დედის გინება. დედას რომ გაგინებენ, ამაზე რეაქცია უნდა გქონდეს, თუმცა, უბედურება რომ არ მოხდეს, კანონში უნდა ჩაიწეროს, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. ნადი სახლში და რამდენიც გინდა „იღადავე“ და საზოგადოებაში ნუ აკეთებ ამას. სახალხოდ ნუ შეურაცხყოფ ადამიანს და მის რელიგიურ გრძნობებს“, – აღნიშნა ჯაჭვლიანმა.

მისივე თქმით, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ევროპულ ქვეყნებშიც ისჯება.

„ჩვენ მივდივართ ევროპისკენ. ჩამოვთვალი ევროპის ქვეყნებს, სადაც ეს უკვე განსაზღვრულია და ასახულია კანონში: გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი. ისრაელში 18-თვიანი პატიმრობაა. ჯარიმებია იტალიაში, გერმანიაში. ჩვენ არ ვიგონებთ ახალ ველოსიპედს“, – აღნიშნა უმრავლესობის წევრმა.

დავით უსუფაშვილი დეპუტატებს მოუწოდებს, ჯაჭვლიანს მიბაძონ

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი არ ფიქრობს, რომ სოსო ჯაჭვლიანის მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის ფულადი ჯარიმების დაწესებას ითვალისწინებს, ერთ კვირაში კანონად იქცევა.

„ბოლო სამ თვეში, სოსო ჯაჭვლიანმა მესამე ინიციატივა შემოიტანა, რაც კარგია. ყველას ვთხოვ, რომ ასე იაქტიურონ. რაც შეეხება მხარდაჭერას, ამის თაობაზე მაშინ ვიმსჯელებთ, როცა კანონპროექტს ვნახავთ. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის და რელიგიურ ნიადაგზე სიძულვილის გაღვივების დასჯა-დაჯარიმება მნიშვნელოვანია და ეს რა ტიპის ამოცანებით მიიღწევა, ამაზე კანონპროექტის განხილვის დროს ვიმსჯელებთ. ვისურვებდი, რომ კანონპროექტის დეტალებში ჩავიდეთ და თვალი იმან არ მოგვჭრას, რომ ეს რელიგიურ საკითხებს ეხება. გამოხატვის თავისუფლება ძალიან ფუნდამეტური უფლებაა, მაგრამ ეს აბსოლიტური უფლება არ არის. ბატონი სოსოს ინიციატივასთან არანაირ ანალოგიას არ ვაკეთებ, მაგრამ არის ქვეყნები, სადაც რაღაც საკითხზე განსხვავებული მოსაზრების გამოთქმა, მაგალითად, გენოციდზე, სისხლის სამართლის დანაშაულია. სერიოზული შეფასებითი კატეგორიებია – რელიგიური გრძნობა, მისი შეურაცხყოფა და რთულად დასადგენია, ვინ რას მიიჩნევს შეურაცხყოფად. კანონპროექტის ინიცირების ფაქტიდან არ უნდა შევქმნათ წიაღსვლები“, – დასძინა უსუფაშვილმა.

◎ საით მივდივართ?

თბილისი – მომავლის ქალაქი

დავით ნარმანიამ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებსა და დიპლომატიურ კორპუსს გუშინ, 8 დეკემბერს დედაქალაქის მთავრობის საქმიანობის ერთი წლის ანგარიში წარუდგინა.

დედაქალაქის მთავრობის საქმიანობის ერთი წლის ანგარიში სხვადასხვა მიმართულებებს მოიცავს, მათ შორის, ერთ-ერთი მთავარი თბილისის 2015 წლის ბიუჯეტია, რომელიც პრიორიტეტების მიხედვით დაიგეგმა - მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფრასტრუქტურული, სოციალური, ჯანდაცვის, კულტურის, განათლებისა და სხვა პროგრამების ბიუჯეტები, ამასთან, შემცირდა თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ადმინისტრაციული ხარჯები.

ანგარიშში ყურადღება გამახვილდა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე – 2014 წლის ბოლო 3 თვის განმავლობაში ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები (23 609,3 ლარი), წინა ხელისუფლების პირობებში, 2014 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში, ამავე ტიპის სამუშაოებში ბიუჯეტის ათვისებას (25 020,4 ლარი) უტოლდება. რაც შეეხება 2015 წლის საგზაო სამუშაოებს, 2014 წლის პირველი ორი კვარტლის მონაცემებთან შედარებით (224 119,20 კვ.მ. ასფალტი), 2015 წლის ამავე პერიოდის განმავლობაში არსებითად მეტი გზის საფარი დაიგო (დაახლ. 269 726,85 კვ.მ. ასფალტი). განხორციელდა საინჟინრო ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, ავარიული საცხოვრებელი შენობების კაპიტალური გამაგრება.

დამუშავების პროცესშია მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმა, რომელიც ქალაქის მდგრადი განვითარების ძირეულ პრინციპებს მოიცავს. ამასთან, ქალაქის საჭიროებების გათვალისწინებით მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები, გამკაცრდა სარეკრიაციო ზონების დაცვის რეჟიმი, მშენებლობისას გაიზარდა გამწვანებული ნაწილის კოეფიციენტი. დედაქალაქის მდგრადი განვითარებისთვის თბილისის მერია „მომავლის ქალაქის“ პროექტის განხორციელებას იწყებს. ქალაქის ისტორიაში პირველად, ძალაში შევიდა თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია, რომელიც მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, დედაქალაქის გარემოსდაცვით პრიორიტეტებს განსაზღვრავს. მყარი ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზნით, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ემისიების, CO.2-ის, შემცირებისა და თბილისში ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს უზრუნველსაყოფად.

დედაქალაქის მთავრობის საქმიანობის ერთი წლის ანგარიშში დეტალურად გაიწერა თბილისის მერიის მიერ 12 თვის განმავლობაში წარმოებული სამუშაოები, მათ შორისაა – შშმ პირთა ხელშეწყობა და ადაპტირებული გარემოს შექმნა, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ეკონომიკისა და ბიზნესის ხელშეწყობა, კულტურა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა, გამწვანება, მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის იანვრიდან თბილისის მერია ქალაქის ადაპტირების სამწლიანი გეგმის განხორციელებას დაიწყებს. გეგმის ფარგლებში, უნივერსალური დაპროექტების პრინციპების გათვალისწინებით, 315 მუნიციპალური შენობა-ნაგებობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების ადაპტირება მოხდება. სამშენებლო პროექტებისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 14 000 000 ლარი გამოიყოფა. ამასთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაწილი ჩანაცვლდება და 2016 წლიდან თბილისის ავტო-პარკს 200-მდე ახალი ადაპტირებული ავტობუსი შეემატება.

რაც შეეხება ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებს, პირველად დაიწყო აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სრულად არის ათვისებული ქალაქის რესურსი, დაკმაყოფილებულია შემოსული განცხადებების 95%, დაფინანსდა 280 ბენეფიციარი. ასევე, პირველად ხორციელდება ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ლეიკემიისა და სხვა ონკოჰემატოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებს სრული მკურნალობა უტარდებათ. თბილისის მერია საყოველთაო დაზღვევის პროგრამასთან ერთად, უზრუნველყოფს მოქალაქეების ოპერაციების, მედიკამენტების, ამბულატორიული მომსახურებისა და რადიოლოგიური კვლევების დაფინანსებას. პირველად აშენდა კაპიტალური თავშესაფარი უსახლკაროთათვის, რომელიც 240 ბენეფიციარზეა გათვლილი.

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია გამწვანების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზე, კერძოდ, თბილისის მასშტაბით, 2014 წლის შემოდგომიდან დღემდე 500 ათასამდე ხე არის დარგული, რაც 9-ჯერ აღემატება წინა 5 წლის განმავლობაში დარგული ნერგების რაოდენობას.

2 400 000 კვ.მ. მიწის ფართობზე მეტს მიენიჭა სარეკრიაციო ზონის სტატუსი. გაფართოვდა ბოტანიკური ბაღის ტერიტორია, თბილისის ზღვაზე დაიწყო დენდროლოგიური პარკის მოწყობა. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვერეს ხეობას მიენიჭა სარეკრიაციო ზონის სტატუსი და კონკურსში გამარჯვებული კონცეფციის მიხედვით, მზიურის ტერიტორიისა და მთლიანად ხეობის განვითარება მხოლოდ აღნიშნული სტატუსის ფარგლებში განხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ საცხოვრებელი კორპუსები აღარ აშენდება, მოეწყობა საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ზონები.

აღსანიშნავია, რომ გაიხსნა 7 ახალი საბავშვო ბაღი, რომელიც 2 500 აღსაზრდელს ემსახურება, ასევე, დაგეგმილია დამატებით 10 საბავშვო ბაღის მშენებლობა. სხვადასხვა სარემონტო სამუშაო ჩატარდა 125 ბაგა-ბაღში, ყველა მათგანში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა.

ანგარიშის დიდი ნაწილი 13 ივნისის სტიქიის შედეგებსა და სალიკვიდაციო სამუშაოებს ეთმობა – დედაქალაქის მთავრობამ დაზარალებულები დაუყოვნებლივ უზრუნველყო დროებითი საცხოვრისებით, რის შემდეგაც სტიქიის ზონებში დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის აღწერა-შეფასება განხორციელდა და ბოლო მონაცემებით, მერიამ საცხოვრებელი ფართის შესაძენად თანხა 46 ოჯახს უკვე ჩაურიცხა. ამასთან, კვლევის შედეგების მიხედვით, შეიქმნა საოჯახო პაკეტები და დაზარალებულებს შესაბამისი კომპენსაციები ჩაერიცხათ. სტიქიის შედეგად დაზარალებული პირების სწავლის დაფინანსებას, უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე დედაქალაქის მერია უზრუნველყოფს. მომზადდა დასკვნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი არეალების შესახებ, განხორციელდა და მიმდინარეობს მთელი რიგი საგზაო და ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

ანგარიში, ასევე, მოიცავს თბილისის საცობებისგან განტვირთვის მიზნით ჩატარებულ, მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებს, მათ შორისაა – კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზა, აეროპორტის ხიდიდან ლოჭინის ხიდამდე დაგეგმილია გზის კაპიტალური შეკეთება, ასევე, მნიშვნელოვანია კახეთის გზატკეცილის თბილისის ზღვასთან დაკავშირება.

დედაქალაქის მთავრობის საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და გამჭვირვალობის მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, ამასთან, დამტკიცდა შიდა აუდიტის 2015-2017 წლების სტრატეგიული გეგმა, რაც სისტემის ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტურობას უზრუნველყოფს.

თბილისის მერია

◎ ფინანსები და ბაზარი

ნუ გეშინიათ, ინფლაცია არ „შეგვჭამს“

სტატისტიკოსებმა ნოემბერში ფასების ზრდა 6,3%-ის ნიშნულზე დააფიქსირეს. ეკონომისტები პროცესის გაგრძელებასა და წლის ბოლომდე ინფლაციის 7%-მდე გაზრდას ვარაუდობენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე ამბობს, რომ თუკი ინფლაციის ზრდის საფრთხე კიდევ უფრო შესამჩნევი იქნება, მონეტარულ პოლიტიკას გაამკაცრებენ. მისი თქმით, ინფლაცია მცირედით გადასცდა სამიზნე მაჩვენებელს, თუმცა ეს პროგნოზირებადი იყო და საშიში არ არის.



„ჩვენი პროგნოზით, ინფლაცია პიკს მიაღწევს მომდევნო წლის პირველ კვარტალში და დაუბრუნდება სამიზნე მაჩვენებელს მომავალი წლის მეორე ნახევრიდან. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავინახავთ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების საჭიროებას, ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ“, – განაცხადა ქადაგიძემ.

სებ-ის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა განვითარების იმ ზღვარზეა, როდესაც ანგარიშებისა და პროგნოზების მიხედვით ინფლაციის სამიზნე მაჩვენებელი 2017 წლიდან 3%-მდე ჩამოიწევს და საშუალო ვადიანი მაჩვენებელიც 3% იქნება.

„ჩვენი სამიზნე მაჩვენებელი არის 5%, რაც ითვლება ოპტიმალურად იმ ზომისა და განვითარების სტადიისთვის, რაშიც ჩვენ ვიმყოფებით. ინფლაცია ნიშნავს საომომხმარებლო ფასების საშუალო ზრდას. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა საქონელზე ფასი 5%-იდან 6%-ითაა გაზრდილი. ზოგ საქონელზე მნიშვნელოვნად გაზრდილია, ზოგზე შემცირებულია, ზოგზე არაა ცვლილება, მაგრამ საშუალო ინდექსი არის 6%-ზე ცოტა მეტი“, – განაცხადა ქადაგიძემ.

მეცნიერ-სტატისტიკოსის სოსო არჩვაძის აზრით, ინფლაცია დეკემბერშიც გაგრძელდება. 2016 წელს კი ამ პროცესის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შენარჩუნდება მსოფლიოში ძირითად სამომხმარებლო პროდუქტებზე არსებული ფასი.

„მყარი გარანტია იმისა, რომ ინფლაციის ტემპი დაიკლებს, არ არსებობს. ვფიქრობ, წლის ბოლოსთვის ინფლაცია 7%-ის ფარგლებში იქნება“, – აცხადებს არჩვაძე.

ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილიც უახლოესი თვეებში პოზიტიურს ვერაფერს პროგნოზირებს. საუკეთესო შემთხვევაში ინფლაცია 2016 წლის მეორე კვარტლიდან მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება, ანუ 5%-ს. უფრო დაბალ ნიშნულამდე როდის ჩამოვა, ეს ცნობილი არ არის.

„მინდა დავეთანხმო ეროვნული ბანკის პრეზიდენტს. 2016 წლის პირველ კვარტალში, სავარაუდოდ, ინფლაციის მაჩვენებელი ცოტა კიდევ უფრო გაიზრდება და მეორე კვარტლიდან უკვე უნდა დაუბრუნდეს მიზნობრივ მაჩვენებელს“, – განაცხადა ქუმსიშვილმა, – „დღეს ყველაზე მეტი ინფლაცია არის სასურსათო მიმართულებით. ვფიქრობ, ამ კუთხით დღეს არსებული ვითარება და მეზობელ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა უნდა წაეშველოს ჩვენს ბაზარს და ფასების სტაბილიზაცია ჩვენც საკმაოდ მალე უნდა ვნახოთ“.

კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია ინფლაცია და ზოგადად ფასების მატება, ქუმსიშვილმა აღნიშნა, რომ ფასების მატება ყოველთვის კომპლექსურია და ეს დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდებაზე. თუ მიწოდება არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ჩვენ გვაქვს მოთხოვნა, ან თუ მიწოდების ფასი არის იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენ გვინდა, ამ შემთხვევაში გვაქვს ინფლაცია“, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ბექა დანელია

◎ ამღვრეული სათავე

გიორგი ვოლსკი: ინტელექტუალ ბოკერიას და უინტელექტო ვაშაძის ჯგუფები ერთმანეთს დესტაბილიზაციის მოწყობაში ეჯიბრებიან

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნება ის საკითხია, რაზეც საქართველოს პარლამენტის წევრთან გიორგი ვოლსკისთან დავიწყეთ საუბარი.

— ბიძინა ივანიშვილთან ხშირი ურთიერთობა არ მაქვს, ისევე როგორც ჩემი კოლეგების უმრავლესობას, რამდენჯერმე დაგვესწრო ფრაქციის სხდომაზე. მან თქვა, რომ კიდევ უფრო მეტად დაუჭერს მხარს „ქართულ ოცნებას“ და ეს არ ნიშნავს მის პოლიტიკურ ამბიციას.

ზოგადად, ცხოვრებაში გამორიცხული არაფერია, თუმცა მისი პოლიტიკური გუნდის სათავეში მოსვლის ალბათობა არ არსებობს, მე ასე ვიცი და ასე მჯერა. ხოლო თანადგომა და მხარდაჭერა იქნება ისეთი, როგორიც მან თავად განაცხადა.

— უკრაინული მედია ახალ ფარულ აუდიოჩანაწერს აქვეყნებს, რომელშიც დიალოგი ლადო გაბაშვილსა და გოკა გაბაშვილს შორის მიმდინარეობს. ნაციონალური მოძრაობის წევრი გოკა გაბაშვილი მიხეილ სააკაშვილის შესახებ საუბრობს და „გიჟად“ მოიხსენიებს. რას ფიქრობთ, რა ხდება პარტიაში? მოსალოდნელია, რომ ნაციონალური მოძრაობა დაიშალოს?

— ნაციონალური მოძრაობა 2 და 3 ნაწილად უკვე დაყოფილია, მეოთხე კიდევ საერთოდ გამოეყო... სიტყვა „გიჟი“ ამ საუბარში ყველაზე ნაკლებად საყურადღებოა. ეს არის გუნდი, დაყოფილი რამდენიმე ნაწილად და თითოეული ნაწილი ცდილობს, შექმნას დესტაბილიზაცია. ყველა ნაწილს თავის მოსაზრება აქვს დესტაბილიზაციის შექმნის გზების შესახებ. ისინი ადრეც დაიყოფოდნენ, რომ არ ჰყავდეთ ერთი თავი სააკაშვილის სახით. ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვის უფრო შეუძლია შექმნას დესტაბილიზაცია — ინტელექტუალი გაბაშვილის და ბოკერიას ჯგუფს თუ უინტელექტო ჯგუფს ვაშაძის მეთაურობით.

— იმ დღეს უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც არ დაესწრო ირაკლი ღარიბაშვილი. რას ფიქრობთ ამ საკითხზე? უნდა ესწრებოდეს თუ არა მთავრობის მეთაური სხდომას?

— უნდა დავანებოთ საზოგადოებასთან თამაშს თავი. უშიშროების საბჭო არის ძალიან მნიშვნელოვანი ორგანო, პრეზიდენტის ინსტიტუტი არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამ სპეკულაციას პრეზიდენტმა თავი უნდა დაანებოს. მას სხვა ფუნქცია აქვს — დაარეგულიროს, დაბალანსოს, თუ რაიმე წინააღმდეგობაა, პოზიცია დააფიქსიროს. სპეკულირებს იმით, რომ პრეზიდენტია, არჩეულია და გავლენის წარმოჩენას ცდილობს. არ შეიძლება, პრეზიდენტი გამოვიდეს და თქვას, რომ პარტიული კონსენსუსია საარჩევნო თემასთან დაკავშირებით, როდესაც ჩვენ ამ პროცესში მონაწილეობა არ მიგვიღია. არ შეიძლება, პრეზიდენტს ჰქონდეს ეროვნული ბანკიდან ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფასთან დაკავშირებით უსაფუძვლო, არასწორი პოზიცია. პრეზიდენტი უნდა იყოს დამბალანსებელი და მას აქვს სერიოზული ფუნქცია, რომ წარმოადგინოს ქვეყანა საზღვარგარეთ. არ აქვს მას იმის ფუნქცია, „იჭიდაოს“, რომ თვითონ უნდა წავიდეს ამა თუ იმ ფორუმზე. პრეზიდენტი არ ხელმძღვანელობს აღმასრულებელ სტრუქტურებს.

ძალიან კარგია, რომ პრემიერ-მინისტრი უშიშროების საბჭოს სხდომაზე არ მიდის. პრეზიდენტს აქვს ინფორმაციის მიღების უშველებელი წყაროები. ყველა დადებითად არის განწყობილი, რომ პრეზიდენტს მიაწოდოს ინფორმაცია. გავიხსენოთ უელსში პრეზიდენტის დელეგაციის ვიზიტი ნატოს სამიტზე. მისი ვიზიტი მშვენიერი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, პრემიერთან დეტალურად ჩამოყალიბდა საკითხებზე და ყველა შეხვედრაზე მშვენიერი შედეგი აჩვენა. ეს არის მისი ფუნქცია. თუმცა, როდესაც ისეთი გადაწყვეტილებაა მისაღები, რომელსაც სამთავრობო სტრუქტურებისგან რეალიზაცია სჭირდება, ნუ ქმნის საზოგადოებაში იმის განცდას, რომ დაპირისპირებაა ორ მთავარ ინსტიტუტს - მთავრობასა და პრეზიდენტს შორის. მინისტრები უნდა მივიდნენ და ისაუბრონ. პრემიერ-მინისტრი რომ არ მიდის, ნუ თვლით, რომ ეს დიდი პრობლემაა. მინისტრები პრემიერ-მინისტრისგან განსხვავებულ პოზიციას ხომ არ დააფიქსირებენ?

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ არჩევნებში მონაწილეობა შესაძლოა სავალდებულო გახდეს. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

— არ ვიცი, არ გამიგია. ამ საკითხზე საუბარი არ ყოფილა. ზოგადად, მე ეს იდეა არ მომწონს. არჩევნებში მონაწილეობა ისედაც ყველას მოვალეობაა.

ესაუბრა
ალა გრიგალაშვილი

◎ ხელშეწყობის პროექტი

სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ახალი ქვეკომპონენტები ემატება

სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ორი ქვეკომპონენტი ემატება — სასტუმრო ინდუსტრიისა და კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებები. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ისაუბრეს.

მოგეხსენებათ, „აწარმოე საქართველოში“ არის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც, კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოების სტიმულირების, ქართული პროდუქციის შექმნის, მისი ხარისხის უზრუნველყოფისა და წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების მიზნით, 2014 წელს შეიქმნა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ნოემბერში ფარმაცევტული საწარმო Ynnovas-ის გახსნის ცერემონიაზე განაცხადა, პროგრამა წარმატებით გრძელდება და უკვე 123 პროექტი აქვს დაფინანსებული, რაც, ჯამში, ქართული წარმოების განვითარებაში ჩადებულ დაახლოებით 350 მილიონი ლარის ინვესტიციას გულისხმობს, დასაქმებულთა რაოდენობა კი 7 000 ადამიანს აღწევს. აქედან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით შექმნილია 72 საწარმო და განხორციელებულია 180 მილიონ ლარამდე ინვესტიცია.

როგორც წესი, პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მეწარმეები, პირველ რიგში, კომერციულ ბანკებს მიმართავენ საჭირო ფინანსური რესურსების შესავსებად, საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად ან არსებულის გასაფართოებლად, შემდეგ კი მეწარმეობის განვითარების სააგენტო ორი წლის განმავლობაში ახდენს ბანკის მიერ სესხზე დაწესებული წლიური საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას. სააგენტო ხელს უწყობს ასევე „სტარტაპებს“და ბანკის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის გარანტიაში სესხის თანხას 50 პროცენტის ოდენობით ფარავს.

რაც შეეხება სასტუმრო ინდუსტრიისა და კინოინდუსტრიის განვითარების სტრატეგიას, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ გახდა ცნობილი, რომ კინოინდუსტრიის ხელშეწყობის პროექტი, ქვეყანაში გადაღებებზე გაწეული ხარჯების 20 %-ის თანადაფინანსებით, საქართველოში უცხოური კინოწარმოების მოზიდვას შეუწყობდა ხელს. როგორც მაშინ პროექტის ავტორები აცხადებდნენ, პროექტი უზრუნველყოფს მნიშვნელოვან შესაძლებლობებსა და არსებს ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების შემოდინების, ადგილობრივი კინოინდუსტრიის მოთამაშეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და კინობაზრის ზრდის კუთხით.

ტურიზმის ინფრასტრუქტურის წახალისების მექანიზმის მთავარ ამოცანად კი საქართველოში საერთაშორისო ბრენდების შემოსვლა და ქართულ სასტუმრო ინდუსტრიაში სერვისებისა თუ ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება დასახელდა. აღნიშნული პროექტის მიხედვით, უზრუნველყოფილია დაინტერესებული მეწარმე სუბიექტებისთვის საერთაშორისო ბრენდების Franchising-ის გადასახადებისა და კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება და შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურება.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი** უფრო დეტალურად საუბრობს სასტუმროებისა და კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის კომპონენტებზე. მინისტრის თქმით, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიმართულება ითვალისწინებს საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების ფრანჩაიზის გადასახადის სუბსიდირებას პირველი 2 წლის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 300 ათასი ლარის ოდენობით, ასევე — კომერციული ბანკებიდან აღებული საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას. თუმცა გარკვეული ზღვარი აქაც დაწესდება: 5 მილიონი ლარი იქნება სესხის მაქსიმალური ზღვრული თანხა საერთაშორისო ბრენდის შემთხვევაში და მილიონი — უკვე არაბრენდირებული სასტუმროს შემთხვევაში.

რაც შეეხება კინოინდუსტრიის ნაწილს, როგორც მინისტრი აღნიშნავს, ამ მიმართულებით კვალიფიციური ხარჯების 20 % იქნება ანაზღაურებული. მისივე თქმით, კინოინდუსტრიის მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც, აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო გამოცდილებამ უკვე აჩვენა ამ სექტორის უნარი — შექმნას ათიათასობით სამუშაო ადგილი. იმ ტრადიციებიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოში გვაქვს, მინისტრი ფიქრობს, რომ ეს მნიშვნელოვნად გაახალისებს და განაახლებს იმ ინფრასტრუქტურას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უნდა შეიქმნას. მაშასადამე, საქართველოში საერთაშორისო ფილმების, სერიალების გადაღება სტიმულს მისცემს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, პროფესიონალების ჩამოყალიბებასა და, მთლიანობაში, ქვეყნის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.?

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ თბილისური კონფერენცია

ევროკავშირის უსაფრთხოება და თავდაცვა

ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის თემაზე საერთაშორისო კონფერენცია (Ist CSDP High Level Conference) გაიხსნა. კონფერენცია სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით იმართება.

ღონისძიება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ელჩმა იანოშ ჰერმანმა, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ არჩილ ყარაულაშვილმა გახსნეს.

კონფერენციაზე განიხილება „ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის“ ფორმატში თანამშრომლობის საკითხები, კერძოდ, ტერორიზმის, კიბერუსაფრთხოებისა და მიგრაციის თემები, ევროკავშირის მიერ მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებულ სამხედრო და სამოქალაქო მისიებში საქართველოს მონაწილეობის საკითხი, ასევე, სამომავლო გეგმები ამ მისიებში საქართველოს ჩართულობის კუთხით. აღსანიშნავია, რომ მომავალი წლიდან ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში ჩვენი ქვეყნის ჩართულობა კიდევ უფრო გაღრმავდება, რასაც ევროკავშირის მიერ დამტკიცებული საქართველო-მოლდოვას ერთობლივი პროექტი ითვალისწინებს.

ღონისძიებაში მონაწილეობენ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი კიასტუტის იანკაუსკასი, ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯის პროექტორი - ევროკავშირის კურსების ხელმძღვანელი იოჰან რელი, ევროკავშირის მისიების დაგეგმარების სამსახურის უფროსი მარკ ფრანკო. ასევე მონაწილეობენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, შს სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, მთავარი პროკურატურის, ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი პირები.

ხელისუფლება ადანაშაულებს... ოპოზიცია შეთქმულების თეორიებს ავითარებს... მარგველაშვილი პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს იცავს

პრეზიდენტ მარგველაშვილის ბრძანებულებით, დროის უსწრაფეს მონაკვეთში მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტამ ნაციონალების მომხრეებს ეჭვები გაუჩინა, რომ, საბოლოო ჯამში, მარგველაშვილი ივანიშვილის პირველსავე დაძახებაზე გაიძცევა და აუცილებლად მის თამაშს ითამაშებს.

„როდესაც მართლა სჭირდება, ივანიშვილს პრეზიდენტი გვერდში უდგას. მარგველაშვილმა სააკაშვილს ძალიან მარტივად მოუხსნა მოქალაქეობა. მარგველაშვილსა და ივანიშვილს შორის არის მტრული დამოკიდებულება იმიტომ, რომ ბატონ ბიძინას ასე სჭირდება... დარწმუნებული ვარ, თამაშობენ“, – ასეთნაირად ფიქრობს მოძრაობა „ივერიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **მამუკა გამყრელიძე** და არ მალავს დაეჭვებას იმის გამო, რეალურად უღალატა კი პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ბიძინა ივანიშვილს?!

მამუკა გამყრელიძის ეჭვებს ნაციონალები მთელი სიზუსტით არ იზიარებენ, მაგრამ აშკარაა, რომ მათ პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ წინამორბედისთვის მოქალაქეობის შეწყვეტა კი არ მოხვდათ გულზე (რაც მარგველაშვილმა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიმართვიდან სულ რაღაც ერთ დღეში დააკმაყოფილა), არამედ – მარგველაშვილის შეფასებები, რომ „სააკაშვილმა შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს, როცა მის მოქალაქეობაზე უარი თქვა“.

გვახსოვს პერიოდი, როდესაც ბიძინა ივანიშვილი არაერთხელ ამხელდა გიორგი მარგველაშვილს იმაში, რომ ის ოპოზიციაში იმყოფებოდა საკუთარ გუნდთან, რომელმაც იგი ხელისუფლებაში მოიყვანა. ყოფილი პრემიერი მოქმედი პრეზიდენტის „შავბნელ“ მხარეებს შორის „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროინდელ ელჩ თემურ იაკობაშვილთან პირად მეგობრობასაც გამოყოფდა.

დღეს კი ხომ არ გადადის მარგველაშვილ-ივანიშვილის ურთიერთობები ახალ ეტაპზე და შესუსტდება თუ არა „ქართული ოცნების“ წევრების მხრიდან პრეზიდენტ მარგველაშვილის კრიტიკა მას შემდეგ, რაც მან სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტისას აღარ ისურვა პროცედურების დროში გაჭიანურება?! განსხვავებით იმ პერიოდისგან, როცა მარგველაშვილმა არ ისურვა გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნა, როცა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯების არამიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული?!

საპარლამენტო უმცირესობის წევრი **გიგი წერეთელი** აცხადებს, რომ კონსპირაციის თეორიას თუ გავყვებით, შეიძლება, მარგველაშვილ-ივანიშვილის ქმედებებიც გარკვეულ თამაშად შეფასდეს. პოლიტიკა ამგვარ თამაშებს არ გამორიცხავს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ინტერესებია მთავარი და არა მხოლოდ პირადი სიმპათია-ანტიპათია. მით უმეტეს, გარკვეული ინტერესების საფუძველზე დაჯგუფდნენ ივანიშვილის ირგვლივ ადამიანები.

„რა იქნება მომავალში მარგველაშვილ-ივანიშვილს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით, რთული სათქმელია, მაგრამ დღეს რაც ჩანს, ეს მართლაც დაპირისპირებაა. უფრო მეტიც, დღეს აშკარაა საპრეზიდენტო ინსტიტუტთან დაპირისპირება და ამას მარტო ივანიშვილი კი არ აკეთებს, არამედ მთავრობის წევრებიც და მთავრობის ხელმძღვანელიც. მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით როგორ დაჯგუფდება ეს პოლიტიკური ისტებლიშმენტი, რამდენად ექნება მარგველაშვილს დამოუკიდებელი, ან შედარებით უსაფრთხო გარემო, ბევრი რამ ამაზე იქნება დამოკიდებული. პრეზიდენტის დღევანდელი უფლებამოსილება მას აძლევს საშუალებას, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები მიიღოს. ზოგჯერ ეს გადაწყვეტილებები მართებულია. მაგალითად, სააკაშვილთან დაკავშირებით მას შეეძლო, კანონით მოეხსნა მისთვის მოქალაქეობა, შეიძლება, მან ლეგალურადაც გადადგა ეს ნაბიჯი, მაგრამ ამის კომენტირება და ზედმეტი დანართები, რომ თურმე „სააკაშვილმა შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს, როცა მის მოქალაქეობაზე უარი თქვა“, სწორად არ მიმაჩნია. თუ სააკაშვილს რაიმე პრობლემა აქვს და უკრაინაში წასვლა მოუწია, ეს ამ ხელისუფლებიდან გამომდინარეობს. რა თქმა უნდა, მარგველაშვილს ისიც შეეძლო, გვიან მოეწერა ხელი სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე, მას შეეძლო, დამატებით ისიც ეთქვა, რომ სააკაშვილს აქვს უფლება, ისევ მოითხოვოს საქართველოს მოქალაქეობა. ამ დროს კი მარგველაშვილისგან სააკაშვილის მისამართით პრეტენზიული კომენტარები მოვისმინეთ, რამაც გამოიწვია მოსაზრებები, რომ შესაძლებელია, მარგველაშვილი ისევ ივანიშვილის ორბიტაზე დაბრუნდეს“, – აღნიშნა გიგი წერეთელმა.

For.ge-სთან საუბარში ნაციონალური მოძრაობის წევრი **ნუგზარ წიკლაური** აცხადებს, რომ, თუ კარგად დავაკვირდებით, ივანიშვილ-მარგველაშვილს შორის პრინციპული წინააღმდეგობა დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტის სასახლიდან არგამოსვლასთან დაკავშირებით. თუმცა იყო პოლიტიკური საკითხებიც, მაგალითად, მოწმეთა დაკითხვის წესთან დაკავშირებული წინააღმდეგობა „ქართულ ოცნებასა“ და პრეზიდენტ მარგველაშვილს შორის.

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** აცხადებს, რომ არც ერთი ინდიკაციით არ დასტურდება, რომ პრეზიდენტსა და „მოქალაქეს“ შორის თამაში მიმდინარეობს, თუმცა კი, შეთქმულების არაერთი თეორია არსებობს. ის, რომ მარგველაშვილმა მოქალაქეობა მოუხსნა სააკაშვილს, ეს იყო კანონის იმპერატიული მოთხოვნა და მარგველაშვილს არ ჰქონდა სხვა დიაპაზონი.

„მაშინ რა უნდა გაეკეთებინა მარგველაშვილს, სამი დღე გაეწელა ეს პროცესი და სამი დღის შემდეგ მოეხსნა მოქალაქეობა? იქნებოდა ეს სხვა განრიგი? თუ მამუკა გამყრელიძე შეთქმულების თეორიას ავითარებს, მაშინ ალტერნატივაც შესთავაზოს მკითხველს, როგორ უნდა მოქცეულიყო პრეზიდენტი? ისედაც უტევენ და ეჭვქვეშ აყენებენ პრეზიდენტის ქმედებების სამართლიანობას. რაც შეეხება მარგველაშვილის ადრინდელ ქმედებას, როცა მან გრიფი არ მოუხსნა სააკაშვილთან დაკავშირებულ კონკრეტულ საქმეს, იქ იყო გარკვეული პოლიტიკური კონტექსტი, რამდენად საჭირო იყო იმ დოკუმენტების გასაჯაროება? თანაც, მისი გასაჯაროებით პროკურატურასა და სამართალდამცავებს არანაირად ხელი არ ეშლებოდათ, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა განეხორციელებინათ. უბრალოდ, გასაჯაროების მოთხოვნა უკავშირდებოდა პოლიტიკური სპექტაკლის დადგმას. მარგველაშვილს არ უნდოდა ამ სპექტაკლში მონაწილეობის მიღება, სადაც კოსტიუმებსა და ქაშმირის პალტოებზე იყო საუბარი, რაც დღევანდელ ხელისუფლებას ღირსებას არ მატებდა, მიუხედავად ჩემი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებისა სააკაშვილის მიმართ, რადგან მას ბევრად უფრო მძიმე დანაშაულები აქვს ჩადენილი.

გვიანდელი ინტერპრეტაცია, რომ თურმე მარგველაშვილი ამ ქმედებით სააკაშვილს იცავდა, ძალზე სამწუხარო იყო. დღესაც არანაირად არ ვფიქრობ, რომ ახალ ეტაპზე გადადის მარგველაშვილ-„ოცნების“ ურთიერთობა“, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

ის, რომ, ერთი მხრივ, ხელისუფლება მუდმივად ადანაშაულებს მარგველაშვილს და, მეორე მხრივ, ოპოზიციაც შეთქმულების თეორიებს ავითარებს მის მიმართ, გია ხუხაშვილს აფიქრებინებს, რომ მარგველაშვილი სწორ პოზიციაზეა და ის იცავს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, რაც მისი კონსტიტუციური მოვალეობაა. ის არ უნდა გახდეს მხარე ამ პოლიტიკურ იწილო-ბიწილოსი. ის დისტანცირებულია ორივე მხარისგან და ზუსტად ამიტომ არის ორივე მხარე მისით უკმაყოფილო.

მანანა ნოზაძე

◎ კომენტარი

ნაცები ყველაფერს კადრულობენ!..

„ივერიონს“ უკრაინის ყოფილი მერის ლეონიდ ჩერნოვეცკის,ქართულ პოლიტიკაში შემოსვლის თაობაზე, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრა.

— ბატონო ელიზბარ, უკრაინის ყოფილმა მერმა ლეონიდ ჩერნოვეცკმა საკუთარი პარტიის შექმნა დააანონსა. პარტიას საკრალური სახელიც გამოუძებნა „ბედნიერი საქართველო“, თქვენი აზრით, რა თამაშს თამაშობს ბატონი ჩერნოვეცკი, რომელიც თურმე საქართველოში ქველმოქმედებას ეწევა და ამ ალიბით ცდილობს ქართულ პოლიტიკაში შემოსვლას?



— მე პირადად მისი პარტიის სქემას არ ვიცნობ და არც მისი საქართველოში რომელიმე მნიშვნელოვანი ქველმოქმედების შესახებ მსმენია რამე.

იმ ქვეყნის წარმომადგენელს, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი და მისი ავაზაკები მოღვაწეობენ და განაგებენ, არავითარი სურვილი არ ექნება, რომ საქართველოში „ბედნიერება“ შექმნას! თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, თავიანთი ნაბიჯებით მთელს ერს შეურაცხყოფდნენ!

საერთოდ კი, უკრაინელებმა, ჯობია, თავიანთ ქვეყანას მიხედონ, რომელიც დანგრეული და დაქცეულია და სახელმწიფო სახელმწიფოდ აქციონ. ხოლო, უკრაინელ ქველმოქმედებს და მოღვაწეებს ვურჩევდი, რომ მათი სურვილი — დამოუკიდებლობას მიაღწიონ — ამერიკის მონობაში არ გადაეზარდოთ!

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ უკრაინის ყოფილი მერი ივანიშვილის ადრე დაწყებული თამაშის გაგრძელებას აპირებს.

თქვენი აზრით, გახდება თუ არა იგი ქართველი მილიარდერის საპირწონე და საერთოდ საჭიროა თუ არა ქართულ პოლიტიკაში ოლიგარქების შემოსვლა?

— ის ივანიშვილის საპირწონე არ იქნება და მის როლს ვერ ითამაშებს, რადგან მან უკრაინის მიმართ თავისი საქმე უკვე გააკეთა!

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს საქართველოში, ფულის „სიმაღლე“ გაიზარდა და ის ძალიან ფასდება, მაგრამ, ვფიქრობ, რომ პოლიტიკაში ცნობიერი ადამიანისთვის ფასობს მხოლოდ ერთი ღირებულება: სამშობლოს სიყვარული და სამშობლოსათვის თავდადება!

დღეს, ქართულ პოლიტიკაში არავითარი საჭიროება, ოლიგარქების შემოსვლისა, არ არის!

— საზოგადოებაში უკვე საუბრობენ, რომ ჩერნოვეცკი სააკაშვილის დაკვეთის შემსრულებელია და საკუთარი აქტიურობით „ნაციონალების“ წისქვილზე უშვებს წყალს...

— როგორც არ უნდა იაქტიუროს ჩერნოვეცკიმ, მე ნაკლებად მჯერა იმისა, რომ ის სააკაშვილის დაკვეთას ასრულებს.

— მაგრამ, რა უფლება აქვს მას, თუნდაც საქართველოს მოქალაქე იყოს, უცხო ქვეყანაში დააფინანსოს ესა თუ ის პოლიტიკური მოძრაობა?

— ეს კონსტიტუციით უნდა იყოს აკრძალული და ყველა ის თანხა, რომელიც მოძრაობს ამა თუ იმ პარტიის დასაფინანსებლად, უნდა გადამოწმდეს. არც ერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს აქაური პარტიების დაფინანსების არავითარი მორალური და სამართლებრივი უფლება არა აქვთ!

ჩერნოვეცკი ვინაა საერთოდ, ქართულ პოლიტიკაში შემოიჭრას და ხარჯოს ის ფული, რომელიც მისი არაა? ეს იქნება ამერიკისა თუ დასავლეთის თანხები.

ხოლო, თუ ის ცდილობს, რომ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში დააბრუნოს, ამით საქართველოს ვერანაირ სიკეთეს ვერ მოუტანს! სააკაშვილის ქართულ პოლიტიკაში დაბრუნება, ქვეყნის დანგრევა და დაქცევა იქნება!

— ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ვინ იქნებიან ჩერნოვეცკის თანამოაზრეები და რა გუნდის შეკრებას აპირებს იგი. მაგრამ, ვინც არ უნდა იყოს, ბუნებრივია, ასეთი უცხო ელემენტის ქართულ პოლიტიკაში შემოსვლა ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს...

თქვენი კომენტარი...

— ის ქართულ პოლიტიკაში ვერ შემოვა. მის გარშემო, ალბათ ხუთი კაცი თუ შეგროვდება... თუმცა, მეც ძალიან მაინტერესებს, თუ ვინ დაუდგება მას გვერდში.

დღეს „ნაცები“ ისე არიან სინდის-ნამუსგარეცხილნი, რომ ყველაფერს კადრულობენ, რათა ქვეყანაში არეულობა და შფოთი შემოიტანონ!

ესაუბრა
მედეა შელია

დიდი ივანესგან გზადალოცვილი...

დავით გვრიტიშვილი (1915-1969 წ.წ.) – ალბათ ცოტა ვინმეს თუ ხვდა წილად ასეთი პატივი და ბედნიერება – ივანე ჯავახიშვილს დაელოცა გზა მეცნიერებაში. შრომისმოყვარეობითა და ნიჭით გამორჩეული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1938 წ.), დიდი მეცნიერის რეკომენდაციით იმავე წელს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა. სავსებით გაამართლა დავით გვრიტიშვილმა მოძღვართმოძღვრის იმედები – სტუდენტების საყვარელი ლექტორი, თვალსაჩინო მეცნიერი, პატრიოტი, სამართლიანი და პრინციპული პიროვნება შეიძინა ქართულმა საისტორიო სკოლამ და ქართველმა საზოგადოებამ.

არ შეიძლებოდა და არც მისცემია დავიწყებას ბ-ნი დავითის სახელი.

დავით გვრიტიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა საფუძვლიანად არის წარმოჩენილი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში (საქართველოს ისტორიის კათედრა, 1918-2005 წწ., რედ. გ. საითიძე, 2010).

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით გვრიტიშვილის სახელი შეტანილია „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ (ტ. III, 1979).

მიუხედავად ამისა, მაინც არის გარკვეული უკმარისობის გრძნობა, განცდა იმისა, რომ უფრო მეტ ყურადღებას და დაფასებას საჭიროებს დამსახურებული მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნა.

წინამდებარე წერილის მიზანია პატივი მივაგოთ ბ-ნი დავითის ნათელ ხსოვნას, კიდევ ერთხელ შევახსენოთ საზოგადოებას მისი ნაღვაწი, მის მოწაფეთა მოწაფეებს და ახალგაზრდა თაობას ზოგადი წარმოდგენა მაინც შევუქმნათ ამ მართლაც ღირსეულ პიროვნებასა და მეცნიერზე.

ქართული ისტორიოგრაფიის ღირსეული წარმომადგენელი

თავის მოვალეობად ჩათვალა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა და მოხალისედ წავიდა ფრონტზე. 1942-1943 წ.წ.-ის სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე მძიმე ჭრილობის გამო იქნა დემობილიზებული. მაღე „მოიხადა ვალი“ იძულებით მიტოვებული თანამებრძოლების წინაშე, აღწერა ქართველთა თავდადება სტალინგრადის ბრძოლებში („ქართველი სტალინგრადელები“, 1944). როგორც ჩანს, ომის შთაბეჭდილებებმა გაუღვიძა ინტერესი სამხედრო თემატიკისადმი. ამავე პერიოდში გამოქვეყნდა მისი ორი წერილი, კრწანისის ბრძოლაზე და პეტრე ბაგრატიონზე. დავით გვრიტიშვილის 40-იანი წლების სამეცნიერო სტატიებიდან აღსანიშნავია „ქსნის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები“ და „დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის“, ესოდენ აქტუალური და პრობლემატური თანამედროვე საქართველოში. საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების დეტალური ანალიზის შედეგად, საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ დვალები ქართველური ტომი იყო და არავითარი იგივეობა მათსა და ოსებს შორის არ არსებობს.

დავით გვრიტიშვილმა მონოგრაფიული გამოკვლევები მიუძღვნა თავისი მასწავლებლის და მეცნიერებაში გზის გამკვალავის ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (1949, 1968 წ.წ.). ამ ნაშრომში მთელი სისრულით არის წარმოჩენილი ივ. ჯავახიშვილის განვლილი ცხოვრების გზა, სამეცნიერო, საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა.

1953 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები)“; (1963 წელს გამოვიდა რუსული თარგმანი). ნაშრომმა სამეცნიერო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქართული ფეოდალური საგვარეულოების, სათავადოების ისტორიის კვლევა საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხებთან არის დაკავშირებული და არსებითად გვიანშუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის კვლევას წარმოადგენს. „ქვეყნის ისტორიის სრულყოფილად დამუშავება სათავადოების შესწავლის გარეშე შეუძლებელია. ამდენად, სათავადოების მონოგრაფიულად შესწავლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს“, – წერს დავით გვრიტიშვილი თავისი გამოკვლევის შესავალში. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ფაქტიურად შეუსწავლელი იყო. მხოლოდ პ. კარბელაშვილის „ამილახვართა საგვარეულოს სიგელ-გუჯრები“ („ძველი საქართველო“, რედ. ე. თაყაიშვილი, ტ. II, 1913) შეიძლება მიჩნეულ იქნეს სათავადოს ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ და ერთადერთ მცდელობად. „გარდა ზოგადი მოსაზრებებისა, რომლებიც ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის, უკანასკნელ წლებამდე ჩვენ თითქმის არაფერი გვქონდა... სათავადოების მონოგრაფიულად შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი საქმეა“ – აღნიშნავდა ბ-ნი დავითი.

თხუთმეტწლიანი კვლევა-ძიების შედეგად მან მონოგრაფიულად შეისწავლა ქართლის ექვსივე სათავადო: ქსნის და არაგვის საერისთავოები, საამილახვრო, სამუხრანბატონო, საციციშვილო და საბარათიანო (ამ უკანასკნელი სათავადოს შიგნით წარმოქმნილი საგვარეულო განშტოებებიც). საკითხის შესწავლას ქართული ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ისტორიის კვლევით იწყებს, რისი საბოლოო შედეგიცაა სათავადოების წარმოქმნა. შეიძლება ითქვას, სრულყოფილია ქართული ფეოდალიზმის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა – ვახუშტი ბაგრატიონით დაწყებული და მის თანამედროვე მკვლევართა შრომებით დამთავრებული. აღსანიშნავია, რომ დავით გვრიტიშვილის ყველა ნაშრომი გამოირჩევა საკითხის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნით და ღრმა ანალიზით. აღნიშნულ ნაშრომში დადგენილია ყველა სათავადოს საზღვრები, ტერიტორია, მოსახლეობა, მეურნეობის სახეები, შინაგანი ორგანიზაცია, სოციალური ურთიერთობები, დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან და მეზობლებთან, სათავადოს ადგილი და როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სათავადოს სოფლის მეურნეობის შესწავლა ორგანულად არის გადაჯაჭვული გლეხობის საკითხთან. ამ ნაშრომში, ისევე როგორც გლეხთა კლასისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში (მონოგრაფია: „მასალები ქართველი გლეხობის ისტორიისათვის, XVIII ს., 1979 წ.), ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი და დაწვრილებითაა განხილული საქართველოში გლეხთა ცალკეული სოციალ-ეკონომიკური კატეგორიები (მსახური, ნაწყალობევი, ნებიერი, თარხანი, ბოგანო, ხიზანი), მიწისმფლობელობის ფორმები, გადასახადები (საბატონო, სახელმწიფო, საეკლესიო, სამოხელეო, უცხოელ დამპყრობთათვის), დახასიათებულია კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმები, თავადთა და გლეხთა ურთიერთობა და სხვ.

დავით გვრიტიშვილმა დიდი ყურადღება დაუთმო ქალაქების ისტორიის შესწავლას.

1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (ტ. 45) და ცალკე წიგნად დაიბეჭდა მისი გამოკვლევა (თანაავტორი შ. მესხია) „თბილისის ისტორია“. თბილისის დაარსების 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 1958 წელს, ავტორთა კოლექტივთან (შ. მესხია, აკ. სურგულაძე, მ. დუმბაძე) ერთად გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია „თბილისის ისტორია“; აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნარკვევი „თბილისის თავგადასავალი“. 1954 წელს გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „გორის ისტორია“. აღნიშნულ ნაშრომებში გადმოცემულია ქალაქების პოლიტიკური ისტორია დაარსებიდან თანამედროვეობამდე, განხილულია სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხები, საქალაქო ცხოვრება და მართვა-გამგებლობა, ვაჭრობა-ხელოსნობის დარგები, კულტურულ-საგანმანათლებლო კერები და მათი ფუნქციონირება და სხვ.

დავით გვრიტიშვილი წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი (1950-1952 წწ.; 1956-1968 წწ.), საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი (1957 წლიდან). ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს: „საქართველო XIII-XVIII სს-ში“ (ლაშა-გიორგის გამეფებიდან ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიამდე რუსეთის მიერ 1801 წ.) და „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“; XIII-XVIII სს-ის საქართველოს ისტორიას პრაქტიკულად მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე სწავლობდა. 1960-იან წლებში გამოაქვეყნა სამტომეული „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“ (ტ. I. XIII-XIV სს., 1962 წ.; ტ. II, XV-XVII სს., 1965 წ.; ტ. III, XVIII ს., 1968 წ.). ნაშრომებში შესწავლილია საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები: პოლიტიკური ვითარება, სოციალური ურთიერთობა და კლასთა ბრძოლის ფორმები, ეკონომიკური მდგომარეობა, სახელმწიფო მმართველობის სისტემა, საგარეო ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი პრობლემები გაშუქებულია ისტორიულ ასპექტში, საქართველოს ისტორიის კონკრეტულ პერიოდებთან მიმართებაში და ზოგადად ისტორიული განვითარების კონტექსტში. ყველა პრობლემა განხილული და შესწავლილია არა იზოლირებულად, არამედ სხვა ხალხების ისტორიის გათვალისწინებით და იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებზე დაყრდნობით.

მისაბაძია დავით გვრიტიშვილის გულთბილი დამოკიდებულება და თანადგომა სტუდენტებისადმი. სამაგალითოა მისი მოქალაქეობრივი პოზიცია და პრინციპულობა.

1954 წელს ახალი ტალღა აგორდა ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ. ამჯერად ზოგიერთი პარტიული მუშაკი გამოვიდა „ჯავახიშვილის სკოლის“ წინააღმდეგ, ანტიმარქსიზმსა და ნაციონალიზმში სდებდნენ ბრალს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან იყო მითითება მხარი დაეჭირათ მათთვის, ქართველმა ისტორიკოსებმა პრინციპული პოზიცია დაიკავეს. დავით გვრიტიშვილმა, შოთა მესხიამ და ვასილ კოპალიანმა უარი თქვეს გაეზიარებინათ ასეთი ანტიმეცნიერული, ყალბი ბრალდებები. თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ ვითარებას, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ისტორიკოსთა, და პირადად ბ-ნი დავითის, მოქმედება გმირობის ტოლფასი იყო.

ვფიქრობთ, კომენტარები ზედმეტია. ეს ერთი ფაქტიც ნათლად წარმოაჩენს დავით გვრიტიშვილის პატრიოტულ სულისკვეთებას და მაღალ ზნეობრიობას.

დავით გვრიტიშვილი ნაადრევად, 54 წლის, სამეცნიერო მოღვაწეობის აღმასვლის ასაკში გარდაიცვალა. დაგროვებული ცოდნით, ცხოვრების დიდი გამოცდილებით და მყარად ჩამოყალიბებული მოქალაქეობრივი პრინციპებით კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო ქვეყნისათვის.

მარიკა ლორთქიფანიძე,
აკადემიკოსი;

რევინ მეტრეველი,
აკადემიკოსი;

გიორგი ოთხმეზური,
პროფესორი.

◎ ალიან-ჩალიანი

ნაცები მამა-მარჩენალს თავად ეახლნენ

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ვიზიტი აშშ-ში გრძელდება. დავით ბაქრაძე, გიგა ბოკერია, გიორგი კანდელაკი და ირმა ნადირაშვილი სენატორ ჯონ მაკკეინს შეხვდნენ. განხილვის მთავარი თემები NATO-სთან ურთიერთობა და ამერიკის ყურადღების ცენტრში საქართველოს ინტერესების შენარჩუნება იყო.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საკითხი დღის წესრიგში იყოს, რაც შეიძლება მაღლა. ჩვენი განხილვის საგანი იქნება, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების თემები და ის გამოწვევები, რაც აქვს საქართველოს მთელ რეგიონს. საქართველოს შიგნით განვითარებული მოვლენები, რომლებიც, პრინციპში, ერთ საერთო კომპლექსურ სურათს ქმნის. ჩვენი ამოცანაა, რომ საქართველოს ინტერესები იყოს მუდმივად ყურადღების ქვეშ ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის. ამ თვალსაზრისით ის ჩავარდნა, რომელიც ჩვენ გვაქვს ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, რაღაცნაირად ნაწილობრივ იქნეს დაკომპენსირებული. სრულად დაკომპენსირება ვერ მოხდება, სანამ ეს მთავრობა დემოკრატიული წესით არ შეიცვლება. ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს უსაფრთხოებისა და მომავლისთვის ის, რასაც აკეთებს ქვეყნის შიგნით ივანიშვილის რეჟიმი, პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს და ასე თვლის ყველა ის, ვინც საქართველოს მთავარი მხარდამჭერია, მათ შორის, ამ ქალაქშიც“, – განაცხადა ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა გიგა ბოკერიამ.

გამზარდიას ივანიშვილის ტელევიზიასთან თანამშრომლობას არ პატიობენ?

პიარტექნოლოგი **არჩილ გამზარდია ილიაუნიში გაზაფხულის სემესტრიდან ლექციებს აღარ წაიკითხავს.**

როგორც გამზარდიამ მედიანიუსთან საუბარში აღნიშნა, სალექციო საათების შეწყვეტის გადაწყვეტილება მასთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე მოხდა.

„დეკანთან მქონდა საუბარი. მოგეხსენებათ, ცხრა წელია, უწყვეტად ყოველ სემესტრულად განახლებული ხელშეკრულებით ვთანამშრომლობდი უნივერსიტეტთან. ვიყავი მიწვეული ლექტორი. როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში ვკითხულობდი ლექციებს. მოხდა ისე, რომ სამი საგანი საერთოდ ამომიგდეს და ერთი საგანი – PR-ის სხვა ლექტორს მისცეს. არაფრის ახსნა არ ყოფილა. ფაქტის წინაშე დამაყენეს. ოფიციალურ მიზეზად დაასახელეს პროგრამული ცვლილებები. დეკანმა იმის გარანტიაც კი ვერ მომცა, რომ შემოდგომის სემესტრიდან მაინც გამიფორმდება ახალი ხელშეკრულება“, – ამბობს გამზარდია და მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტას პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს, კერძოდ, მის GDS-თან თანამშრომლობას.

„მოგეხსენებათ, შეიცვალა ხელმძღვანელობა. რექტორი გიგი თევზაძე აღარაა, გიგა ზედანიაა, ხარისხის სამსახურის უფროსი ბატონი ზურაბ ჭიაბერაშვილია. მე მაინც ვუკავშირებ ამ ყველაფერს ჩემს GDS-ზე მოღვაწეობას. გადაცემა 20/30-ის წამყვანი ვიყავი და ახლაც ვაგრძელებ ექსპერტის რანგში თანამშრომლობას. ამიტომ, მე ვფიქრობ, ეს გახდა პოლიტიკური დევნის პირობა“, – აღნიშნა არჩილ გამზარდიამ.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

ნატოს ახალი სტრატეგია... შეკავება, თავდაცვა!

ნატომ ე.წ. ჰიბრიდული ომისგან მომდინარე საფრთხეებთან ბრძოლის შესახებ ახალი სტრატეგია მიიღო. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე განაცხადა.

სააგენტო „დოიჩე ველეს“ ცნობით, ალიანსი ახალი სტრატეგიის განხორციელებისას საკუთარ ქმედებებს ევროკავშირთან შეათანხმებს, რადგან ჰიბრიდული ომი შეიცავს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ელემენტებს.

ახალი სტრატეგიის დეტალები უცნობია, რადგან სტოლტენბერგი მცირე განმარტებით შემოიფარგლება. ვიცით მხოლოდ ის, რომ ნატოს ახალი სტრატეგია ეფუძნება „მომზადებას, შეკავებასა და თავდაცვას“.

თუმცა ერთი რამ შეიძლება დაზუსტებით ითქვას, რომ ე.წ.ჰიბრიდული ომისგან მომავალ საფრთხეებზე საპასუხოდ, შესაძლოა, ნატომ სწრაფი რეაგირების სპეციალური ძალებიც გამოიყენოს. როგორც ნატო-ს გენერალური მდივანი აღნიშნავს, ალიანსის ნებისმიერი წევრის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის დაწყებამ უნდა აამოქმედოს ნატოს წესდების მეხუთე სტატია, რომელიც აგრესიის შემთხვევაში, კოლექტიურ თავდაცვას ითვალისწინებს.

რაც შეეხება ტერმინ „ჰიბრიდულ ომს“, „ცივი ომის“ შემდეგ ახალ პოლიტიკურ ლექსიკონში ამ სიტყვამ თანდათანობით დაიმკვიდრა ადგილი. სხვათა შორის, ჰიბრიდული ომი ეფექტური საშუალებაა, რომ ამა თუ იმ ხელისუფალმა საკუთარი ქვეყნის შიგნით შექმნილი ურთულესი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობა გაამართლოს.

ზოგადად, ნატოში ჰიბრიდულ ომს უწოდებენ ტაქტიკას, რომლის დროსაც ჩვეულებრივი სამხედრო საშუალებები არ გამოიყენება. ჰიბრიდული ომი შეიცავს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ელემენტებს, ასევე, ეკონომიკური ზეწოლისა და სპეცდანიშნულების ძალების ფარულ გამოყენებას. ჰიბრიდული ომი არის ომი მართვადი ქაოსის მეშვეობით, როცა აგრესორი ახერხებს და სასურველი ქვეყნის სათავეში მისთვის სანდო ხელისუფალს მოიყვანს, ან კიდევ, ისეთ დეგრადაციამდე მიიყვანს ამა თუ იმ სახელმწიფოს, რომ მისი მართვა საკუთარ დასაყრდენთა მეშვეობით უადვილდება.

საწყის სტადიაში ჰიბრიდული ომი შესაძლოა, ისე უმტკივნეულოდაც განხორციელდეს, რომ საკუთარ უსუსურობას ესა თუ ის სახელმწიფო მოგვიანებით მიხვდეს. უფრო მეტიც, გლობალიზაციის პირობებში გარკვეული სახელმწიფოები თუ არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნები შეეცდებიან, თავიანთი ნება მოახვიონ სხვებს, მიითვისონ ენერგო ან სასმელი წყლის რესურსები და დანარჩენი მსოფლიო დეგრადირებული ეკონომიკის თუ სირთულეების ფონზე პოლიტიკურად დამოკიდებული გახადონ.

რაც შეეხება საქართველოს, გასულ წელს ნატოს ერთ-ერთ მაღალჩინოსანზე დაყრდნობით, ქართული მედია იუწყებოდა, რომ რუსეთს შესაძლოა, საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომი დაეწყო, რაც იმავე ტაქტიკით განხორციელდებოდა, როგორც – უკრაინაში. უფრო ზუსტად, ნატოს წარმომადგენლის აზრით, უკრაინული სცენარი საქართველოსთან მიმართებით ასეთი იყო – ოკუპირებულ აფხაზეთს ან ცხინვალის რეგიონს შესაძლოა, საქართველოზე თავდასხმა დაეწყო, რუსეთი კი მათ არაპირდაპირ ისევე დაეხმარებოდა, როგორც – პრორუს სეპარატისტებს უკრაინაში. თუმცა ქართველი ექსპერტები ჰიბრიდული ომის საფრთხეს და მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებას იმთავითვე ეჭვის თვალით უყურებდნენ.

ეს იმ ფონზე, როცა დასავლეთმა რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის წარმოებაში არაერთხელ დაადანაშაულა.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მარტო უკრაინის ომი არ იგულისხმება ჰიბრიდულ ომში, არამედ ამ ომის ტიპს მიეკუთვნება სირიაში არსებული საბრძოლო ოპერაციები ისლამური ხალიფატის წინააღმდეგ.

„ნატოს ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა ჰიბრიდული ომის სტრატეგია. ჯერ კიდევ ჰიბრიდული ომის რაობა და ფაქტობრიობა დაფიქსირებული გახლდათ უელსის სამიტის დეკლარაციაში. უბრალოდ, ახლანდელ სამიტზე ამ სტრატეგიაზე მუშაობა დაიწყო და ნატოს ადრესატად უპირველესად რუსეთი იგულისხმება. ალბათ, საუბარია კიდევ ასადის რეჟიმზე და სხვებზეც, რომლებიც ჰიბრიდულ ომს მიმართავენ. მაგალითად, ქართველებისთვის მტკივნეულია თურქული ექსპანსიის მცდელობა, განსაკუთრებით, აჭარის რეგიონში. ბუნებრივია, არა მარტო თურქეთი, არამედ ყველა ქვეყანა გამოიყენებს ჰიბრიდული ომის ელემენტებს სათავისო მიზნის მისაღწევად. თუმცა ამ შემთხვევაში, ჰიბრიდული ომისგან მომდინარე საფრთხეების კონტექსტში ნატო თურქეთს არ იგულისხმებდა, რადგან თურქეთი მისი წევრია“, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ 21-ე საუკუნეში ცალკეული ქვეყნები ცდილობენ, პირდაპირ საომარ მოქმედებებში არ იყვნენ ჩათრეულები, რადგან დღევანდელი შესაძლებლობები ძალიან დიდია მძიმე და რთული ტიპის იარაღის თვალსაზრისით. ამიტომ ნატო მაქსიმალურად ცდილობს, რუსეთთან მშვიდობიანი და ფრთხილი პოლიტიკა აწარმოოს. რუსეთი კი, როგორც მავნებელი, ამ თვითნებობით სარგებლობს, რადგან მთელი მსოფლიო სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობს.

არჩილ გამზარდია შეკითხვის საპასუხოდ, რუსეთის გარდა, კიდევ ვინ იყენებს ჰიბრიდული ომის სტრატეგიას, განმარტავს: „მე ვფიქრობ, რომ ყველა ქვეყანა, მწვავე რეგიონები, განსაკუთრებით, რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნები იყენებენ ამ სტრატეგიას, თორემ ევროპულ ქვეყნებს ნაკლებად აქვთ ამის საჭიროება. მე რომ მკითხოთ, თავის დროზე ჯორჯ ბუში იმდენად პირდაპირი იყო, რომ ამბობდა – „საქართველო სტრატეგიული პარტნიორი“, „საქართველო ნატოში უნდა მოხვდეს“. ასეთი აქტიური მხარდაჭერა ახლა შეიძლება ნაკლებად იყოს. ამიტომ ჰიბრიდული ომისგან მომდინარე საფრთხეებთან ბრძოლა ერთ-ერთი მეთოდია, იქნებ, რუსეთზე გარეგანი ეფექტების გამო გავლენა მოახდინონ“.

ნანა იმერლიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

ნეტავ ყველა დანაშაულს ასე დროულად იხილავდნენ...

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება და თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ მეუღლესთან სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტზე ბრალდებული 21 წლის ნადიმ პაქსაძე გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

აღნიშნულ ფაქტზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტში 2015 წლის 18 ნოემბერს დაიწყო გამოძიება.

მიუხედავად იმისა, რომ დადგინდა ხსენებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი ნ.პაქსაძის მხრიდან, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია შვიდიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ გაითვალისწინა რა ის გარემოებები, რომ ნ.პაქსაძემ და მისმა მეუღლემ წლებია რაც შექმნეს ოჯახი და ჰყავთ ორი მცირეწლოვანი შვილი, ოჯახი ნ.პაქსაძის კმაყოფაზეა, ეს უკანასკნელი წარსულში ნასამართლევი არ არის და ხასიათდება დადებითად, მიიღო გადაწყვეტილება ნადიმ პაქსაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს პროკურატურა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების და მსგავსი დანაშაულის პრევენციის მიზნით, მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს და მომავალშიც აპირებს ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას, ვინაიდან იდენტური დანაშაულებრივი ფაქტები მრავლად გვხვდება მაღალმთიან აჭარაში, რაც შეუტყობინებლობის გამო რეაგირების გარეშე რჩება.

სხვისი კომპიუტერული მონაცემები უკანონოდ მოიპოვა

კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ მოპოვების, შენახვის და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის მიზნით, სოციალური ქსელი „facebook“-ის ავტორიზაციის მსგავსი ვებგვერდის - ე.წ. ფიშერის დამზადების, აღნიშნული ფიშერისა და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით სოციალური ქსელი „facebook“-ის სხვადასხვა მომხმარებლის პროფილებზე უკანონო შეღწევის ფაქტზე, 1992 წელს დაბადებული ვასილ ქ. და 1983 წელს დაბადებული რაინდი კ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვასილ ქ-მ მიმდინარე წლის თებერვალში, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის და სხვისი კომპიუტერული მონაცემების უკანონოდ მოპოვების მიზნით, სოციალური ქსელი „facebook“-ის ავტორიზაციის მსგავსი ვებგვერდი დაამზადა დომეინით – htt://facebook-photos.ga/gggg44. ამის შემდეგ, ვასილ ქ. სოციალურ ქსელ „facebook“-ში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა შინაარსის პოსტებს ათავსებდა, სადაც ბმულის სახით მის მიერ დამზადებულ ვებგვერდს უთითებდა. დაინტერესებული მომხმარებელი აღნიშნული პოსტის გახსნის შემთხვევაში, ბმულზე გადასვლისას, ვასილ ქ-ს მიერ დამზადებულ ყალბ გვერდზე ხვდებოდა, სადაც ხელახალი ავტორიზაცია უნდა გაევლო. ავტორიზაციისას „facebook“-ის მომხმარებლის სახელი, პაროლი იგზავნებოდა და ინახებოდა ვასილ ქ-ს მიერ ვებჰოსტინგზე სპეციალურად შექმნილ ფაილებში. გამოძიების მსვლელობისას, აღნიშნულ ფაილებში აღმოჩენილია „facebook.com“-ის 1010 მომხმარებლის სახელი და პაროლი. უკანონოდ მოპოვებული, ზემოხსენებული მონაცემების გამოყენებით, ვასილ ქ. უნებართვოდ აღწევდა სოციალური ქსელ „facebook“-ის მომხმარებელთა გვერდებზე და აღნიშნულ მომხმარებლებს მის მიერ სპეციალურად, რეკლამების განთავსების მიზნით შექმნილ ჯგუფში უნებართვოდ ამატებდა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ რაინდი კ-მ, სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, უკანონოდ მოიპოვა, შეაღწია და დაშვების პაროლები შეუცვალა „facebook.com“-ის მომხმარებლებს. შემდეგ აღნიშნული მომხმარებლების სახელით, მათი პროფილებიდან რეკლამებს პოსტავდა, რაშიც რეკლამის დამკვეთისაგან ანაზღაურებას იღებდა. რაინდი კ-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებულ კომპიუტერულ სისტემებში აღმოჩენილია უკანონოდ მოპოვებული, „facebook.com“-ის 1210 მომხმარებლის სახელი და პაროლი.

ამჟამად მიმდინარეობს სოციალური ქსელი „facebook.com“-ის მომხმარებლებისთვის პროფილების დაბრუნება.

ჯი-ეიბ-ენი, მედიანიუსი

◎ კაკალ გულში

წუხილოჯანი ოჯახები

● დღეს ჭავჭავაძის გამზირის ტროტუარზე წყნარად მისეირნობდა Land Cruiser Prado. მოულოდნელად არაყიშვილის ქუჩიდან შემოგრიალდა 82 წლის ხელჯოხიანი ქალბატონი, რომელმაც „სითი პარკის“ კანონების სრული დაცვით მოარულ ჯიპს ლამის ზედ გადაუარა!

როდემდე უნდა იბოგინონ თბილისის ქუჩებში ხელჯოხიანმა ხულიგნებმა?

● რიგში მდგარ „პოლიტიკოსებს“ და ე.წ. „ცნობად სახეებს“ რომ დაინახავთ, არ შეგეშინდეთ. ე.ი. იქვე ახლოს ლეონიდ ჩერნოვეცკი ცხოვრობს.

● რა დრო დადგა, ვარლამიც დაიჭირეს! უჰ, ვარლამი კი არა, სააკაშვილი მოხსნეს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობიდან!

● იმდენი გზავნილი დამაფრქვიეს თავზე ამ რესპუბლიკელებმა, რომ თავი საფოსტო ვაგონში მგონია.

● საზღვრის და მავთულხლართების გადმოწევა-ოკუპაციაზე, აღშფოთება და ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე 300 ლარი? არ შეიძლება ამაზეც უკიდურესი აღშფოთებით მაინც შემოვიფარგლოთ?

● ადამიანების შეწყალება, შეფარება და დაპურება რომ არ შეგიძლიათ, ამიტომაც ითხოვს უწმინდესი ალბათ ამ უფლებას. თქვენ უნარი და სურვილი არ გაქვთ თანაგრძნობის, შეცოდების და შეწყალებისა, მას კი ამ უფლებას ამადლით?

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას განსაკუთრებული წვლილისა და ღვაწლის გამო ქართველმა ერმა საკონსტიტუციო შეთანხმება დაუთქვა და ეს უფლებაც ბუნებრივად უნდა მიეცეს. თქვენ კი, რადგან უნარი არ გაქვთ ადამიანის თანაგრძნობისა, ინდაურები და ციკნები შეიწყალეთ ნოდარ ხადურთან და ბარაკ ობამასთან ერთად!!!

● ეჰ, დღეს ბოლოჯერ გადავკვეთე ლაღი დარღვევით საცობში ღერძულა ხაზი. ალბათ ახალი წლიდან, ხაზის გადაკვეთისას, ავიაბაზიდან აფრინდება თინა ხიდაშელი F16 ავიაგამანადგურებლით და ჩემს „სუძუკის“ სტინგერებით გაანადგურებს. თინას გამოჩენილი გმირობისთვის ორდენს და მაცივარს გადასცემენ, ჩემს დაფერფლილ ცხედარს კი პროზექტურაში დაიტირებს ჩემი წვრილშვილი!!!

და მაინც გადავკვეთ ჩემი მერნით თქვენს მრუდე ხაზებს, ჯარიმებს შავეწირები, ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!!!

● თუ ნაცის მანქანას დაეჯახე, 100 ქულა გემატება (ბონუსი)!..... პატრული იმას აკლებს ეგრევე 100 ქულას და თან მანქანას გიკეთებენ!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

გლობალური დათბობა

აურზაური დედამიწის კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც პარიზის შეხვედრაზე მოხდა, იმისი მკაფიო მაგალითია, რომ მეცნიერული აზრი და კერძოდ, ფიზიკური აზროვნება მთლიანად უგულებელყოფილია პოლიტიკოსების მიერ და მათი ქმედებები სულ სხვა მიზნებს ემსახურება. განსაკუთრებული უგუნურებაა დედამიწის საშუალო წლიური ტემპერატურის გაზრდა ნახშირორჟანგის კონცენტრაციის გაზრდას დაბრალდეს. ეს სრული აბსურდია, რადგან ნახშირორჟანგის კონცენტრაცია მშრალ ჰაერში სულ 0,035%-ია, ხოლო ინფრაწითელ უბანში მისი შთანთქმის უნარი წყლის ორთქლთან შედარებით ძალზე მცირეა.

დედამიწის ზედაპირზე დაცემული მზის ენერგიის თითქმის ნახევარი ოკეანეების, ზღვებისა და ხმელეთის ზედაპირიდან წყლის აორთქლებაზე იხარჯება. ენერგიის ნაწილი შთაინთქმება მცენარეების მიერ, მაგრამ სითბური ენერგია, რომელიც ადამიანის მოქმედებებით გამოიყოფა, ათი ათასჯერ ნაკლებია იმ ენერგიასთან შედარებით, რომელსც დედამიწა მზისგან იღებს.

რატომ აღმოჩნდა ნახშირორჟანგი ყურადღების ცენტრში? აღმოჩნდა, რომ ჰაერში ნახშირბადის კონცენტრაციის ცვლილება დროში ჩამოგავს დედამიწის საშუალო ტემპერატურულ ცვლილებებს, თუმცა ნახშირბადის კონცენტრაციის ცვლილებები 0,1 %-ს არ აღემატება. როგორც ანტარქტიდის ყინულოვანი საფარის კვლევებმა აჩვენეს, ნახშირბადის კონცენტრაციის გაზრდა კი არ იწვევს დედამიწის საშუალო ტემპერატურის გაზრდას, არამედ პირიქით. ტემპერატურის გაზრდა იწვევს ოკეანის ზედაპირული წყლის ფენის გაზრდას და მასში დიდი რაოდენობით გახსნილი ნახშირორჟანგა გაზის ატმოსფეროში გამოიყოფა. ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ნახშირორჟანგის კონცენტრაციის მატება კი სრულიად უმნიშვნელოა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ნახშირორჟანგის კონცენტრაციის მატება დადებითად მოქმედებს დედამიწის მწვანე საფარის გაზრდასთან. აღწერილია, რომ ალპურმა ზონამ დაახლოებით 200 მეტრით აიწია ზევით. ამასთანავე, ნახშირორჟანგის კონცენტრაციის 10-ჯერ მომატებას შეუძლია 10-ჯერ გაზარდოს მცენარეების რაოდენობა დედამიწაზე.

აღსანიშნავია, რომ ნახშირორჟანგის მოლეკულების მიერ დედამიწის ზედაპირიდან გამოსხივებული ინფრაწითელი გამოსხივების შთანთქმას პრინციპში არ შეუძლია სათბურის ეფექტის გამოწვევა და საშუალო ტემპერატურის მომატება. სათბურის ეფექტი მხოლოდ დახურულ არეში, სათბურში არსებობს, სადაც ჰაერის კონვენციური ნაკადები, პრაქტიკულად, არ არის. საკმარისია სათბურის სახურავზე მცირე ხვრელი გაჩნდეს, რომ სათბური თავის ფუნქციას კარგავს და მისგან თბილი ჰაერი გარე გარემოში გადავა. ისეთ გარემოში კი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, თბილი ჰაერი ატმოსფეროს ზედა ფენებში გადადის, იქიდან კი ცივი ჰაერის მასები ეშვება და დედამიწის ზედაპირს აგრილებს.

დედამიწის საშუალო წლიური ტემპერატურული ცვლილებები სულაც არ არის ახალი, ყველას ეცოდინება, რომ დაახლოებით 20 ათასი წლის წინათ გამყინვარების პერიოდი იდგა და შემდეგ თანდათან დათბობა დაიწყო. იმ მძიმე პერიოდში დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა დაახლოებით 8 გრადუსით დაბალი იყო და მისი უდიდესი ნაწილი ყინულის ფენით იყო დაფარული. ჩვენ ძალზე გაგვიმართლა, რომ ვცხოვრობთ დათბობის პერიოდში, თუმცა ეს პერიოდი ორიოდე ათასი წლის შემდეგ დასრულდება და ისევ გამყინვარების პერიოდი დაიწყება. იმ დროს საქართველო გრენლადიას დაემსგავსება გაყინული შავი ზღვით.

დედამიწის საშუალო ტემპერატურების მრავალსაუკუნოვანი ცვლილებები დედამიწის მზის გარშემო მოძრაობის ტრაექტორიის ცვლილებებთან არის დაკავშირებული და პლანეტების ურთიერთგანლაგებითაა განპირობებული.

ამ ცვლილებების შედეგია, რომ უკანასკნელი ერთი საუკუნის განმავლობაში დედამიწის საშუალო წლიური ტემპერატურა დაახლოებით 0,75 გრადუსით გაიზარდა.

წლიურმა ცვლილებებმა შესაძლოა, 0,3 გრადუსს მიაღწიოს, თუმცა, საშუალოდ, ტემპერატურული ზრდა 1980 წლიდან დაახლოები 0,5 გრადუსია.

თითქოს ეს დედამიწის საშუალო ტემპერატურული მცირე ცვლილებები დიდ გავლენას არ უნდა ახდენდეს დედამიწის კლიმატზე, მაგრამ ეს სამწუხაროდ, ასე არ არის, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, სადაც მყინვარებისა და თოვლის საფარის მნიშვნელოვანი ცვლილებებია. ეს ამ რეგიონებში ალბედოს (დედამიწის ზედაპირის უნარს აირეკლოს მზის სხივი) დიდ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. ამდენად, მაღალმთიან რეგიონებში ტემპერატურულმა ცვლილებებმა შეიძლება რამდენჯერმე გადააჭარბოს დედამიწის საშუალო ტემპერატურის ცვლილების სიდიდეს. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ მთაგორიანი რეგიონი დედამიწის მთლიანი ფართობის სულ 1 %-ს არ აღემატება.

აღმოჩნდა, რომ დედამიწის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება გამოწვეულია დედამიწის სრული ალბედოსა და მზიდან დედამიწაზე დაცემულ ენერგიებს შორის უარყოფითი უკუკავშირის არსებობით.

უარყოფითი უკუკავშირის არსებობის მაგალითია კავშირი დედამიწის საშუალო ტემპერატურასა და ღრუბლიანობას შორის. თუ დედამიწის ტემპერატურა აიწია, იზრდება აორთქლებული წყლის რაოდენობაც, რაც ღრუბლიანობას გაზრდის. გაზრდილი ღრუბლიანობა კი ამცირებს მზის სხივების რაოდენობას, რომლებიც დედამიწის ზედაპირს აღწევს. ეს ნიშნავს, რომ იზრდება დედამიწის სრული ალბედო, ანუ მზის სხივების ის ნაწილი, რომელსაც მთელი დედამიწა აირეკლავს და კოსმოსში აგზავნის. ალბედოს გაზრდის შედეგად კი მცირდება დედამიწის საშუალო ტემპერატურა, რაც თავის მხრივ, ალბედოს ამცირებს წყლის აორთქლების (ანუ ღრუბლიანობის) შემცირების გამო და ა.შ. სწორედ ამიტომ დედამიწის წლიური საშუალო ტემპერატურა რხევებს განიცდის და მისი მკვეთრი ზრდა არ შეინიშნება.

მოსალოდნელია, რომ დედამიწაზე მიმდინარე სითბური პროცესები ყინულისგან გამოანთავისუფლებს პოლარულ არესთან ახლოს განლაგებულ რეგიონებს. მართლაც, დაკვირვებების შედეგების თანახმად, პოლარულ არეებთან მიმდებარე რეგიონებში საშუალო წლიური ტემპერატურის მატებამ ბოლო ასი წლის განმავლობაში 2 გრადუსს მიაღწია.

ამდენად, მოსალოდნელია, რომ დედამიწის საშუალო ტემპერატურის მცირე ზრდა მნიშვნელოვნად შეამცირებს თოვლისა და ყინულის საფარს ციმბირში, კანადაში და სხვა ჩრდილოეთ ქვეყნების რეგიონებში. თუმცა, საერთო ღრუბლიანობის გაზრდის გამო იმატებს ნალექების რაოდენობა მთელს დედამიწაზე და მოსალოდნელია, რომ ზამთარი უფრო უხვთოვლიანი გახდეს.

როგორც აღნიშნული იყო, დედამიწის საშუალო ტემპერატურის მცირე ზრდა მაინც შეინიშნება (0.75 გრადუსი ბოლო ასი წლის განმავლობაში), რაც საერთო ღრუბლიანობის გაზრდას იწვევს. ღრუბლიანობის გაზრდა კი შესაძლოა, დედამიწის რომელიმე ლოკალურ არეში უფრო მკვეთრად გამოიხატოს, სხვაგან კი ნაკლებად. ამდენად, დედამიწაზე ზოგან, გარკვეულ რეგიონში, შესაძლოა, ტემპერატურა უფრო მეტად აიწიოს, რაც ადგილ-ადგილ მყინვარების დნობის პროცესს დააჩქარებს (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში). თუმცა, დედამიწის საშუალო ტემპერატურის ცვლილება დიდი ვერ იქნება.

რადგან დედამიწის საშუალო ტემპერატურის ზრდა რამდენჯერმე მცირეა პოლარულ და მაღალმთიან რეგიონებში საშუალო ტემპერატურის ზრდასთან შედარებით, უნდა ველოდოთ, რომ დედამიწის სხვა რეგიონებში საშუალო ტემპერატურა შესაძლოა, შემცირდეს კიდეც, რაც ნალექების გაზრდით იქნება გამოწვეული.

რა უნდა მოვიმოქმედოთ, თუ საშუალო ტემპერატურა აუტანლად გაიზარდა?

ამისათვის საჭიროა დედამიწის მთლიანი ალბედოს გაზრდა. ეს კი შესაძლოა, განხორციელდეს კოსმოსურ სივრცეში სპეციალური თხელი ამრეკლი ფირების გაშვებით ეკვატორის თავზე. ალბედოს რამდენიმე მეათედი პროცენტით გაზრდაც კი მნიშვნელოვნად შეამცირებდა დედამიწის საშუალო ტემპერატურას. ამის შესახებ მე ვაცნობე ჩემს მეგობარ რუს და ამერიკელ მეცნიერებს, რათა ამ საქმეში ჩაერთონ რუსეთისა და ამერიკის კოსმოსური საგენტოები.

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი,
ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრი.

ახალი შევსება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2015 წლის 03 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე ჩატარდა სამეცნიერო განყოფილებებში გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებზე აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) არჩევნები.

აკადემიის საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრის შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) არჩეული იქნენ:

- აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილებაში – სპეციალობა 0101 „აგრონომია“, სპეციალიზაცია 010103 „აგროტექნოლოგია“ (სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით) – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რეზო ჯაბნიძე;**
- აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებაში – სპეციალობა 0415 „აგროინჟინერია“, სპეციალიზაცია 041502 „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია“ – აკადემიის წევრ–კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ელგუჯა შაფაქიძე;**
- ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილებაში – სპეციალობა 0701 „ეკონომიკა“ – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პაატა კოღუაშვილი.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო ულოცავს გამოჩენილ მეცნიერებს აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) არჩევას.

სალომე კიკნაველიძე
სსმმ აკადემიის პრესსამსახური

◎ საზღვრისპირა სოფლებში

პრობლემათა მოსაგვარებლად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც ამავდროულად კომისიის თავმჯდომარეა.

უწყების ინფორმაციით, კომისიის წევრებმა ზამთრის პერიოდში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების გათბობის საკითხი განიხილეს. ასევე, იმსჯელეს ადგილობრივი სტუდენტების დაფინანსების საკითხებზე. გადაწყდა, რომ სტუდენტთა დაფინანსება კვლავ გაგრძელდება. კომისიის წევრებმა მოისმინეს ანგარიში გამყოფი ხაზის მიმდებარი სოფლების გაზიფიკაციის, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების, სასმელი წყლისა და საირიგაციო სისტემების მოწყობის თაობაზე.

სხდომაზე, რომელსაც სხვადასხვა სამთავრობო უწყების ხელმძღვანელი პირები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების შესახებაც იმსჯელეს და მოისმინეს ინფორმაცია საზღვრისპირა სოფლებში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აშშ-ის ახალი ელჩი კელი საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერას ჰპირდება

იან კელიმ გააკრიტიკა ელჩის რანგში თავისი პირველი ვიდეომიმართვა

იან კელიმ, ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ელჩმა საქართველოში, ქვეყანაში თავის ჩამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე გააკრიტიკა თავისი პირველი ვიდეომიმართვა, რომელშიც ისაუბრა თავისი თავისა და გეგმების შესახებ ახალი ელჩის რანგში.

„მე თბილისში პირველად 1976 წელს ჩავედი, როდესაც ვიყავი სტუდენტი და მოხიბლული ვიყავი ამ ქალაქის ენერგიითა და სილამაზით. მოუთმენლად ველოდები შესაძლებლობას, რათა გამოვიყენო დიპლომატიაში მუშაობის 30 წლის გამოცდილება საქართველოსთვის დახმარების გასაწევად, რათა მან სრულად განახორციელოს ევროატლანტიკური მისწრაფებანი. ამერიკა საქართველოს გვერდითაა, რათა იგი გახდეს თავისუფალი, დამოუკიდებელი და წარმატებული ევროპული ქვეყანა“, — განაცხადა იან კელიმ ვიდეომიმართვაში, რომელიც 14 სექტემბერს ფეისბუქის სოციალურ ქსელში განათავსა.

ახალი ელჩი ასევე დაჰპირდა მხარდაჭერას საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. კერძოდ, „აბრეშუმის გზის“ სატრანსპორტო მარშრუტის ამოქმედებაში, რომელიც აზიას და ევროპას აკავშირებს“.

კელის სიტყვებით, როდესაც ჩიკაგოს სტოვებდნენ, იგი და მისი ოჯახი იყვნენ მოწყენილები ბეისბოლის გუნდის გამო, რომლის თაყვანისმცემელიც იგია, აგრეთვე ლეგენდარული ჩიკაგოს პიცის გამო, რომელიც ცხვება ღრმა ფორმით. ამავე დროს, როგორც ახალმა ელჩმა აღნიშნა, მათ ახარებს პერსპექტივა გასინჯონ ქართული ხაჭაპური და უყურონ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაშს, ამავე დროს, იგი და მისი ოჯახი მოუთმენლად ელოდებიან შესაძლებლობას, ახლოს გაიცნონ საქართველოს „შესანიშნავი კულტურა“.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ინფორმაციის თანახმად, საქართველოში შეერთებული შტატების ელჩის თანამდებობაზე დანიშვნამდე იან კელი 2013 წლიდან მუშაობდა ჩიკაგოში ილინოისის უნივერსიტეტში.

უფრო ადრე, 2010-2013 წლებში, კელი იყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ეუთოში ელჩის რანგში. ამავე დროს, 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის სექტემბრამდე იგი იყო მთიან ყარაბაღში კონფლიქტის მოწესრიგების მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე. 2009-2010 წლებში იან კელი მუშაობდა სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუროს ოფიციალურ წარმომადგენლად საზოგადოებრივ საქმეებში, 2007-2009 წლებში იგი სათავეში ედგა რუსეთის საქმეთა ოფისს ევროპისა და ევროაზიის საქმეთა ბიუროში. 2004-2007 წლებში იყო ნატოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების უფროსი.

იან კელი მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საინფორმაციო ოფიცრად იტალიაში (2000-2004) და თურქეთში (1997-2000). 1994-1996 წლებში იგი იყო პროგრამების ოფიცერი ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დახმარების საკოორდინაციო ოფისში. მანამდე ის მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების მისიებში ავსტრიაში, იუგოსლავიაში, სსრ კავშირსა და იტალიაში.

სანამ დაიწყებდა დიპლომატიურ კარიერას 1985 წელს, კელი მუშაობდა მასწავლებლად ნიუ იორკის ბერნადსკისა და კოლუმბიის კოლეჯებში. ის სწავლობდა რუსულ ენას კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო სადოქტორო ხარისხი სლავისტიკისა და ლიტერატურის დარგში.

იან კელიმ შეცვალა რიჩარდ ნორლანდი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის თანამდებობაზე.

ექსპერტების შეფასებები

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელმა ელისო ხოშტარიამ ამერიკის ხმის რუსულ სამსახურთან საუბარში აღნიშნა, რომ მთლიანად შეერთებული შტატების ელჩს ნებისმიერ ქვეყანაში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან, მისი სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატები არის მსოფლიოში „დემოკრატიის დაცვის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი“. მით უმეტეს სტრატეგიული პარტნიორობის თვალსაზრისით, ამბობს ექსპერტი, საქართველოსთვის შეერთებულ შტატებს საკვანძო მნიშვნელობა აქვს.

ამერიკა ყოველთვის იყო გადამწყვეტი საქართველოს დემოკრატიის მხარდაჭერაში, მათ შორის, კრიტიკის გზითაც, როდესაც ამისი აუცილებლობაა, აგრეთვე საფინანსო დახმარების გაწევაში დემოკრატიული პროცესების, თავდაცვის, ეკონომიკური საკითხების განვითარებაში, ჩვენი ინტერესების დაცვაში იმ საფრთხის ფონზე, რომელიც მოდის რუსეთიდან და მთელ რიგ სხვა საკითხებშიც. ამავე დროს, ამერიკა ასრულებს მეტად მნიშვნელოვან როლს ნატოში ჩვენი ინტეგრაციის პროცესში“, — განაცხადა ხოშტარიამ ინტერვიუში.

ამავე დროს, ამბობს ექსპერტი, რომელსაც წინა პრეზიდენტის მთავრობაში ეკავა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანამდებობა, რუსეთისგან და სხვა დემოკრატიული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატები — ესაა სახელმწიფო, რომელიც იცავს თამაშის წესებს იმ წარმოდგენათა საწინააღმდეგოდ, რასაც ცდილობენ რუსეთის პროპაგანდისტული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ეხმარება ჩვენს დემოკრატიას განვითარებაში. ამერიკის შეერთებული შტატები არ ერევა ქვეყნის საშინაო საქმეებში.

ელისო ხოშტარიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იან კელი არის მეტად გამოცდილი დიპლომატი, რომელიც ასევე მუშაობდა ეუთოში, სადაც, ნატოსაგან განსხვავებით, არის საკმაოდ რთული ფორმატი, ვინაიდან ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული არიან ქვეყნები სხვადასხვა პოზიციებით, რომელთა შორისაც არის ასევე რუსეთი.

„ახალ ელჩს რეგიონის ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე აქვს, იგი გამოცდილი დიპლომატია და ძალიან მაღალი რანგისაც, მისი ჩამოსვლა საქართველოში შეიტანს ახალ ენერგიას საქართველო-ამერიკის ურთიერთობებში“, — დაასკვნა ქალბატონმა ხოშტარიამ.

საქართველოს სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის პროფესორმა თორნიკე შარაშენიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იან კელის ჩამოსვლა ემთხვევა მეტად მნიშვნელოვან პერიოდს საქართველოსთვის იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წელს უნდა გაიმართოს პარლამენტის არჩევნები, რომელიც იქნება კიდევ ერთი „სერიოზული ტესტი“ ქართული დემოკრატიისთვის.

„ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთვის ასეთ საპასუხისმგებლო პერიოდში ელჩად ნიშნავს ისეთი მაღალი რანგის დიპლომატს, როგორიცაა კელი, ხაზგასმით მიუთითებს შეერთებული შტატების მაღალ ინტერესს საქართველოსადმი“, — თქვა შარაშენიძემ ამერიკის ხმისთვის მიცემულ ინტერვიუში.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

სამართალდამცველებმა ბრალი დასდეს კოალიციას აშშ-ის ხელმძღვანელობით სირიაში 26 მშვიდობიანი მცხოვრების დაღუპვაში

სარწმუნო წყაროებზე მითითებით, სირიის ადამიანის უფლებებისადმი ზედამხედველობის საბჭომ ისაუბრა, რომ თვითმფრინავები, სავარაუდოდ, კოალიციის ძალებისა, აყენებენ დარტყმებს სოფელ ალ-ხანში, რის შედეგადაც ათობით სამოქალაქო პირი დაიღუპა. კოალიციაში გვპირდებიან შეამოწმონ მონაცემების სიზუსტე.

ძლიერი წყალდიდობის გამო მაიამის ზოოპარკი დაიკეტა, ზოგიერთი ცხოველი საფრთხის ქვეშაა

ძლიერი წვიმების გამო ექსპოზიციის ზოგიერთი ნაწილი წყალქვეშ აღმოჩნდა. ამას გარდა წყლით დაიფარა თხრილი, რომელიც მომსვლელებს ლომებისგან ჰყოფდა. ამინდის პროგნოზი არასაიმედოა, წვიმები გაგრძელდება, არის დიდი ალბათობა, რომ ზოოპარკი ვერ გაიხსნება ვერც სამშაბათს.

სომხეთში რუსეთის ფედერაციის ავიაბაზაზე ჩამოვიდა რუსეთის შვეულმფრენების პირველი პარტია

მანქანები კრასნოდარის მხარეში სამხრეთის სამხედრო ოლქის სამხედრო აეროდრომიდან ჩამოიყვანეს. ბაზაზე სომხეთში ჩამოიყვანეს საბრძოლო დამრტყმელი მი-24 პ და სატრანსპორტო მი8 მტ. როგორც რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, 2015 წლის ბოლომდე ავიაბაზაზე შვეულმფრენების კიდევ ერთ პარტიას ჩამოიყვანენ.

ნორვეგია ლტოლვილებს ჰპირდება, რომ საფასურს გადაუხდის, თუ ისინი ძვეყანას დატოვებენ

ნორვეგიის მთავრობას განზრახული აქვს გაათანაბროს მიგრანტების მიღების პირობები სკანდინავიის სხვა ქვეყნებთან, რათა ნორვეგია არ იყოს ძალიან მიმზიდველი, აგრეთვე შეამციროს სოციალური გარანტიების მოცულობა ლტოლვილებისათვის და დააჩქაროს უარის თქმის პროცესები საცხოვრებელი ბინების მიცემასა და არასასურველი პირების გამოსახლებისათვის.

AMNESTY INTERNATIONAL-მ გამოპარკვია ისლამური სახელმწიფოს იარაღის წარმომავლობის წყაროები

გამოკვლევის შედეგების თანახმად, ისლამური სახელმწიფოს ბოევიკებმა, კერძოდ, ხელში ჩაიგდეს ერაყის სამხედროების იარაღი, რომლებიც უკან იხევდნენ ექსტრემისტების კონტროლქვეშ არსებული ქალაქ მოსულის აღების შემდეგ. წყაროს მონაცემებით ბოევიკები იყენებენ იარაღს, რომლებსაც აწარმოებენ დაახლოებით 25 სახელმწიფოში, მათ შორის ჩინეთში, რუსეთში, შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში.

FOX NEWS: ირანმა განახორციელა ბალისტიკური რაკეტის გამოცდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დარღვევით

ირანული წარმოების რაკეტა, რომელიც ცნობილია, როგორც Chadr-110 და რომელსაც აქვს დაზიანების რადიუსი 1,8-2 ათას კილომეტრამდე და შეუძლია მიაყენოს ბირთვული დარტყმა, იგი არის ერთ-ერთი რაკეტის გაუმჯობესებული ვერსია, რომელსაც ასევე შეუძლია დააზიანოს მიზანი 2000 კილომეტრის დაშორებით.

ტანმორჩილი ბუდა ფჰევას ტბის ნაპირიდან

ნეპალში, ტბა ფჰევას ნაპირზე მდებარე ქალაქ პოქჰარას მკვიდრი, 23 წლის ჰაგენდრა ტაპა მაღარი – დედამიწაზე ორი ყველაზე ტანმორჩილ მამაკაცთაგან ერთ-ერთია. მისი სიმაღლე 67 სანტიმეტრია, წონა კი მხოლოდ 5,5 კილოგრამი. მაგრამ ეს სულაც არ უშლის მას ხელს ცხოვრების პოზიტიურად აღქმაში. ადგილობრივმა ხალხმა ჰაგენდრას „პატარა ბუდა“ შეარქვა.

გინესის რეკორდების წიგნის ვერსიით, მსოფლიოში ყველაზე ტანმორჩილი მამაკაცის ტიტულს ჰაგენდრა მაღარი 2011 წლამდე ფლობდა, ვიდრე ეს წოდება მას ტაილანდელმა ფილიპინელმა ჯუნრი ბალავინგუმ არ ჩამოართვა, რომელიც 59,93 სანტიმეტრის სიმაღლისაა. მოგვიანებით ჰაგენდრას მშობლებმა გაიგეს, რომ ადგილობრივი ორგანიზაციის მესვეურები, რომლებიც მას „ჯუჯების ხელმწიფობის“ პერიოდში კურირებდნენ, საჯარო გამოსვლებიდან მიღებული შემოსავლის 95 პროცენტს ისაკუთრებდნენ. ამის მიუხედავად, ჰაგენდრა მათ არ ემდურის, პირიქით, ამბობს, რომ მათი მადლობელია, რადგან სწორედ ამ ხალხის ხელშეწყობით ჩინეთი მოინახულა, რომელიც დიდად მოეწონა.

ჰაგენდრას ჯუჯობა თანდაყოლილია, პათოლოგიის მიზეზები უცნობია, თუმცა მისი მშობლებისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს – ისეთ რელიგიურ ქვეყანაში, როგორიცაა ნეპალი, გადახრის მქონე ბავშვებზე უარის თქმა მიღებული არ არის. მშობლებს სწამთ, რომ შვილი ღმერთებმა გამოუგზავნეს და იგი ისევე ძლიერ უყვართ, როგორც მეორე ვაჟიშვილი, რომელიც ჩვეულებრივი ყმაწვილია. მშობლების სიყვარულისა და მფარველობის მადლით, ჰაგენდრა თავს ჩინებულად გრძნობს და ცხოვრებასაც იუმორით აღიქვამს.

მონარქიის კიდევ 100 წელი

რუსეთის მიერ შარშან ანექსირებული ყირიმის პროკურორმა ნატალია პოკლონსკაიამ მეტად საგულისხმო განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ ტახტიდან გადადგომის თაობაზე იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ გაკეთებულ განცხადებას კანონიერი ძალა არა აქვს, ამდენად, დე იურე, მონარქია რუსეთში შენარჩუნებულია.

სწავლული იურისტების აზრით, ქალბატონმა პოკლონსკაიამ სწორად განსაზღვრა ის დოკუმენტი, რომელსაც მეფის ტახტიდან გადადგომის იურიდიულ საფუძვლად მიიჩნევენ, როგორც „იურიდიულად სრულიად უმწეო“ უწოდა.

– თუკი იმასაც დავუშვებთ, რომ ნიკოლოზ II-მ გადადგომის შესახებ დოკუმენტს ხელი „საკუთარი ნებით“ მოაწერა, საიმისოდ, რომ ეს ქაღალდი კანონად ქცეულიყო, ის სენატში უნდა დაერეგისტრირებინათ, თუმცა კი ასეთი რამ არ მომხდარა, – ამბობს რუსეთის სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტის სექტორის უფროსი **პეტრე მულტატული.** – ამდენად, **დე იურე რუსეთი კვლავაც მონარქიად რჩება,** სახელმწიფო მოწყობის შესახებ გადაწყვეტილება დამფუძნებელ საკრებულოს უნდა მიეღო, მაგრამ ის ბოლშევიკებმა ხიშტებით დაშალეს.

რომანოვების სახლის ამჟამინდელი ეგრეთ წოდებული უფროსის მარიამ ვლადიმერის ასულის ტახტის მემკვიდრეობის უფლება, ცოტა არ იყოს, საეჭვოა. მისმა ბაბუამ – კირილე ვლადიმერის ძემ, ნიკოლოზ II-ის ბიძაშვილმა, ცოლად შეირთო თავისი ასევე ქმარს გაცილებული ბიძაშვილი, რითაც, კანონის თანახმად, შთამომავლობას ტახტის მემკვიდრეობის უფლება წაართვა. ამდენად, კანდიდატებთან დაკავშირებით ნებისმიერი წინადადება კარიკატურად აღიქმება იმ დრომდე, ვიდრე ხალხი მისი დაბრუნებისთვის მზად არ იქნება. ამ შემთხვევაში, მომავალი მეფე შეიძლება არჩეულ იქნეს, რისი ისტორიული პრეცედენტიც არსებობს – რომანოვების დინასტიის პირველი მეფე საყოველთაო სობორომ აირჩია.

სახიფათო სიმსუქნე

ინგლისელ მეცნიერთა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჭარბი წონის დაკლება ორგანიზმს ხელს უწყობს კიბოსგან დაცვაში.

თურმე სხეულის მასის ყოველი 5 კილოგრამით მომატება, საშვილოსნოს კიბოს წარმოშობის რისკს 62, თირკმლების კიბოსი კი 25 პროცენტით ზრდის.

ეს იმით აიხსნება, რომ ცხიმი ისეთ ჰორმონებს (მათ შორის, ესტროგენს) აწარმოებს, რომლებიც სტიმულირებენ სიმსივნის განვითარებას.

ველური „მატყუარები“

გამორჩენის მიზნით მიტყუება-მოტყუების უნარი მარტო ადამიანს კი არა, ცხოველებს, ფრინველებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მწერებსაც კი აქვთ!

მარგაი. ამ პატარა, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელთა ცხოველს, განსაკუთრებული თვისებები აქვს. იგი იძულებულია ტერიტორია თავისი ოჯახის სხვა წევრთან – ოცელოტთან გაიყოს, ამიტომაც საკუთარი ნიში მოძებნა და... ტყის ზედა იარუსზე გადასახლდა, სადაც მას კონკურენტი არა ჰყავს. იგი ჩინებულად შეეგუა ხეებზე ცხოვრებას: ციყვივით შეუძლია წვრილ ტოტებზე გადაადგილება და უზარმაზარი ნახტომების (სიგრძეში 9 და სიმაღლეში 6 მეტრის!) გაკეთება, თანაც, მაიმუნივით ტოტზე უკანა თათებით დაკიდებული წინა თათებით ნადავლს იჭერს. ამ მონაცემთა პატრონ გარეულ კატას, რომლის სიგრძე 50-79 სანტიმეტრი (საიდანაც კუდის წილად 31-51 სანტიმეტრი მოდის), ხოლო წონა 2,6-4 კილოგრამია, არა მარტო ფრინველის ან ციყვის, არამედ ტამარინის დაჭერაც შეუძლია, რისთვისაც ეშმაკურ ხრიკს მიმართავს – იგი მაიმუნის ნაშიერის ყვირილს ბაძავს, მოტყუებული ტამარინები კი მტაცებელთან თავისით მიდიან...

კალია. „ქლორობალიუს ლეუკოვირიდის“

სახეობის მწერის მამრის მძებნელი მდედრი ჭრიჭინის ხმას ჰბაძავს. შედეგად, მოტყუებული „სატრფო“ თავად მიფრინავს კალიის დაგებულ ხაფანგში.

ვეფხვი. ახურებული ირმის ხმის მიბაძვით, მტაცებელი მას თავისთან ახლოს იტყუებს. ხანგრძლივი დევნისთვის ვეფხვი მძიმეა, ამიტომაც ნადირობა ჩასაფრებით ურჩევნია.

დრონგო. ამ ფრინველს დაახლოებით 40 სხვადასხვა ბგერის გამოცემის უნარი აქვს, რომელიც სხვადასხვა ცხოველის განგაშის ნიშანს ჰგავს. იგი ამას კონკურენტების დასაფრთხობად იყენებს, რის მიზანი... საკვების დაუფლებაა.

„მე დავიბადე...“

ზაფხულში დაბადებულ ბავშვებს მოწიფულ ასაკშიც კარგი ჯანმრთელობა აქვთ.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს ორგანიზმზე ვიტამინ D-ს დადებით ზეგავლენას უკავშირდება, რომელსაც „ზაფხულის“ ბავშვები სხვებზე მეტად იღებენ. პატარაობაში ისინი უფრო მეტ დროს ატარებენ სუფთა ჰაერზე, დამატებითი საკვების მიღებას შემოდგომაზე იწყებენ, როცა სხვადასხვა ხილი ვიტამინების მაქსიმუმს შეიცავს.

მზიდან „წამობერილი“ ქარი

მზის დისკო უზარმაზარ მოელვარე გვირგვინითაა გარემოცული, რომლიდანაც, წამში 1200 კილომეტრის სიჩქარით, გამუდმებით გამოიფრქვევა იონიზებულ ნაწილაკთა ნაკადი.

დედამიწაზე ეს ნაკადი დაახლოებით ორნახევარსამ დღე-ღამეში აღწევს. აღნიშნული მოვლენა მე-19 საუკუნის შუა ხანებში აღმოაჩინეს და მას „მზის ქარი“ უწოდეს. პრინციპში, ამ ნაკადის ენერგიის გამოყენება სავსებით შესაძლებელია. 1923 წელს რუსმა მეცნიერმა ფ. ცანდერმა „მზის აფრის“ იდეა წამოაყენა. მისი გათვლებით ამ აფრას ერთი კვადრატული კილომეტრის ფართი, 0,01 მილიმეტრის სისქე და დაახლოებით 300 კილოგრამი მასა უნდა ჰქონოდა.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ყოფილ სსრ კავშირში, დედამიწაზე ჩრდილოეთი პოლუსის მიმდებარე ოლქების გასანათებლად, უფრო ნაკლები ზომის კოსმოსური სარკის გამოყენების მცდელობა იყო, მაგრამ ექსპერიმენტი წარუმატებლად დასრულდა, შემდგომ კი პროექტი, სიძვირის გამო, სულაც დაიხურა.

სალამი ღვთისაა?...

მარკეტინგული კვლევებისა და საკონსულტაციო კომპანია ასტ-მ საქართველოს ხუთ ქალაქში, მათ შორის თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისში, ბათუმსა და თელავში ექსპერიმენტი ჩაატარა.

მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ კომპანიის თანამშრომლები ქალაქების ქუჩებში, შემთხვევით შემხვედრებს... ესალმებოდნენ. გამოკვლევის მონაწილე 700 კაცი გახდა. თავაზიანობის ინდექსმა ზუგდიდში 96 პროცენტი შეადგინა, თელავში – 84 პროცენტი, თბილისში – 74 პროცენტი, ბათუმში – 70 პროცენტი, ქუთაისში კი „თავის მოსაჭრელი“ 36 პროცენტი.

დედაქალაქში ყველაზე სალმიანი ისნის რაიონი აღმოჩნდა (98 პროცენტი), ყველაზე უჟმური კი კრწანისის რაიონი (50 პროცენტი).

რატომ ვბერდებით ნაადრევად?

ჩრდილოეთ კაროლინის შტატში ტიუკის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ორგანიზმის დაბერების პროცესი 26 წლის ასაკში იწყება. ამ დასკვნამდე ისინი მივიდნენ 1972 წელს დაბადებულ პირთა ჯგუფის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის შემდეგ.

მეცნიერებმა გამოსაცდელთა ჯანმრთელობის ნიშნები, რომლებიც მათი ბიოლოგიური ასაკის შესახებ წარმოდგენას ქმნიან, 26, 32 და 38 წლის ასაკში ჩაიწერეს.

აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მათგანის ბიოლოგიურმა ასაკმა „60-იან“ ნიშნულს მიაღწია, როცა პასპორტის ჩანაწერით კაცი მხოლოდ 38 წლისა იყო. ჯანმრთელობის ნაადრევი გაუარესების მიზეზი აღმოჩნდა არა გენეტიკა, არამედ ეკოლოგია და მავნე ჩვევები – არაჯანსაღი ცხოვრების წესით მცხოვრებთა ყოველი წელი სამ ბიოლოგიურ წლად „ითვლება“.

ძილის პარადოქსები

ძილი – ჩვენი ფსიქიკის, ზოგადად ორგანიზმის განსაკუთრებული მდგომარეობაა, რასაც თუნდაც სიზმრები მოწმობს, რომელთა შესახებ მრავალი საგულისხმო ფაქტის მოყვანა შეიძლება, მაგალითად;

- ყველაზე ხანგრძლივი სიზმარი 3 საათსა და 8 წუთს გრძელდებოდა, რაც 1994 წელს სიეტლის (აშშ) ძილის დარღვევის ცენტრში ერთ-ერთ პაციენტს დაუდგინეს. ეს ამბავი ცნობილ გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, თუმცა კი თავად ამ „ზესრულმეტრაჟიანი“ ძილის შინაარსის შესახებ არაფერია ცნობილი.
- ფრანგ ბაგირზემავალ ანრი როშატენს ბაგირზე ძილი შეეძლო. 1973 წელს მას ქალაქ სენტ-ეტიენის ავტოსადგომის თავზე გაჭიმულ მავთულზე... ნახევარი წელი ეძინა (!), თანაც ხის საწოლი ძირით ბაგირზე იდო. მისი ენცეფალოგრამის ჩანაწერმა აჩვენა, რომ მას მართლაც ეძინა, თანაც დიდი უამინდობის ღამეებშიც კი!
- კუნძულ ბალის (ინდონეზია) აბორიგენებს უეცარი შეშინების დროს, ზოგიერთი მწერების მსგავსად, მყისვე ძილქუში ემართებათ.
- 1983 წელს ქალაქ პორტსმუტის (ინგლისი) ერთ-ერთი მცხოვრები დილის ოთხ საათზე ტელეფონის ზარმა გააღვიძა: მისი 15 წლის ვაჟიშვილი საუთჰემპტონიდან ურეკავდა, რომელმაც, ღამის პიჟამოში ჩაცმულმა, ოჯახის ავტომანქანის საჭესთან ამ ქალაქში გაიღვიძა. აღმოჩნდა, რომ მძინარე მოზარდი სახლიდან გავიდა, მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა და, გაულვიძებლად, ყოველგვარი თავგადასავლის გარეშე, თითქმის 45 კილომეტრი გაიარა.

მადის აღმძვრელი... ბოევიკები

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დრამატული კინოფილმების ნახვისას, მაყურებლები 28 პროცენტით უფრო მეტ ბატიბუტს (ანუ პოპკორნს) მიირთმევენ, ვიდრე კომედიების ნახვისას.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ამით მაყურებლები შინაგანი დაძაბულობის განმუხტვასა და, ქვეცნობიერად, დაძაბული სიუჟეტის ერთგვარად „განეიტრალებას“ ცდილობენ.

◎ ავტოსპორტი

დათა ქაჯაია ETCC-ის ჩემპიონია

ცნობილი და ტიტულოვანი ავტომრბოლი დათა ქაჯაია პირველი ქართველია, რომელიც პოპულარულ ტურინგის კლასში ევროპული სერიის (ევროპული ტურინგის ავტომობილების თასი – ETCC) გამარჯვებული გახდა. მან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა TC2T კლასში – 12-დან 9 რბოლა მოიგო. ევროპის ტურინგის სერიის ქართველი ჩემპიონი ტურინგის იტალიელმა ვარსკვლავმა გაბრიელე ტარკვინიმ დააჯილდოვა. გერმანულ გუნდ „ტიმ ენგსტლერის“ შეფმა, ტურინგის კლასის კიდევ ერთმა ვარსკვლავმა ფრანც ენგსტლერმა ქართველი მრბოლი მომავალი სეზონიდან საერთაშორისო სერია TCR-ში საასპარეზოდ მიიწვია და კონტრაქტიც შესთავაზა. მასში მონაწილეობა დათასთვის, რომელმაც ტურინგის კლასში გადასვლამდე ზედიზედ სამჯერ ლეჯენდსის კლასში ევროპული სერიების ჩემპიონობა მოიპოვა, მორიგი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

ქაიროსა და ანტალიაში

გასულ კვირას საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ლიდერი სოფიო შაფათავა ქაიროს 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდა, სადაც მასპინძლები – ლაილა ელნიმრი (6:1, 6:4) და სანდრა სამირი (6:2, 6:4) დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში უნგრელ ნაომი ტოტკასთან პირველი სეტი 2:6 წააგო, მეორეში კი ტრავმის გამო სათამაშოდ კორტზე ვეღარ გავიდა.

ანტალიის 10.000-იან ტურნირში მესამე ნომრად განთესილ სოფიო ქვაცაბაიას მეოთხედფინალში სომეხმა ანი ამირაგიანმა აჯობა – 6:3, 4:6, 6:0, ხოლო განთესვით მეოთხე ნომერი ეკატერინე გორგოძე ნახევარფინალში რუს ალისა კლეიბანოვას დანებდა – 3:6, 7:6, 1:6.

მიმდინარე კვირას სოფიო შაფათავა კაიროს 25.000-იან ტურნირში ჩაებმება, სოფიო ქვაცაბაია და ეკატერინე გორგოძე კი ანტალიის 10.000-იან შეჯიბრებაში დაუპირისპირდებიან მეტოქეებს.

წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით განახლებულ საერთაშორისო კლასიფიკაციაში ქართველ ქალთა მონაცემები ასეთია:

ერთეულები. 208 (208). სოფიო შაფათავა (249), 385 (384). სოფიო ქვაცაბაია (93), 391 (378). ეკატერინე გორგოძე (90), 467 (466). მარიამ ბოლქვაძე (63), 653(650). ოქსანა კალაშნიკოვა (31), 772 (771). თინათინ ყავლაშვილი (20), 1101 (1100). თამარ ჭალაგანიძე (7), 1204 (1201). ანა შანიძე (4).

წყვილები. 70 (70). კალაშნიკოვა (1080), 137 (137). შაფათავა (492), 160 (160). გორგოძე (417), 355 (347). ქვაცაბაია 9144), 678 (672). ბოლქვაძე 945), 777 (773). ყავლაშვილი (30), 1116 (1113). ანა ახალკაცი (11), 1116 (1113). შანიძე (11), 1186 (1186). ჭალაგანიძე (9).

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

ჯოჯუა პირველია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი). შეჯიბრებაში სხვადასხვა კუთხის 71 წარმომადგენელი მონაწილეობდა. შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურად გამართული ასპარეზობა დიდოსტატმა დავით ჯოჯუამ ერთპიროვნულად მოიგო. მან ცხრა შესაძლებლიდან 7.5 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ლევან ფანცულაია, შოთა აზალაძე და ლუკა პაიჭაძე, რომლებმაც კოეფიციენტის გათვალისწინებით მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს. 6.5 ქულით მეხუთე ადგილზე თორნიკე სანიკიძე გავიდა.

ქალებში 6-6 ქულით I-III ადგილები სოფიო გვეტაძემ, მერი არაბიძემ და ნინო ხომერიკმა გაიყვეს.

გივი გაგუა

◎ რაგბი

გორგოძე და კაკოვინი - სიმბოლურში

საფრანგეთის მორაგბეთა პირველი ელიტარული დივიზიონის, ტოპ 14-ის მე-10 ტურის სიმბოლურ ნაკრებში ორი ქართველი მორაგბე მოხვდა.

შეგახსენებთ, რომ წინა ტურის სიმბოლურში სამი „ბორჯღალოსანი“ იყო, რომელთაგან ერთი – მამუკა გორგოძე კვლავაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ფრანგმა ჟურნალისტებმაც ის კიდევ ერთხელ დააფასეს. „აჟენთან“ 53:23 მოგებულ მატჩში გორგოძემ 8-იდან 4 ლელოში შეიტანა დიდი წვლილი, შეასრულა მისი გუნდის შემადგენლობაში ყველაზე მეტი, 19 ბოჭვა, შეუდარებელი იყო დერეფანში თამაშისას, პრაქტიკულად დაკარგულ ბურთებსაც იგებდა, მიწაზე კი მეტოქეს მისი შეჩერება, ტრადიციულად, ძლიერ უჭირდა.

წინა ტურის სიმბოლურში ორი ქართველი ბურჯი – ლევან ჩილაჩავა და მიხეილ ნარიაშვილი იყვნენ, ამჯერად კი მათი ადგილი „ტულუზის“ მარცხენა ბურჯმა ვასილ კაკოვინმა დაიკავა. „ოიონაქსთან“ 27:3 მოგებულ მატჩში ის სასტარტო შემადგენლობაში იყო, მოედანზე 55 წუთი გაატარა და პირწმინდად დაჩაგრა თავისი ვიზავი.

კობა კობახიძე

◎ რეცეპტი

ზაზა ფაჩულია ბავშვებს: განათლება და შრომა წარმატებული კარიერის წინაპირობაა

გასულ უქმეებზე ზაზა ფაჩულიას „დალას მავერიქსი“ ვაშინგტონში „უიზარდსს“ სტუმრობდა და საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა გამარჯვებასთან ერთად ერთი კარგი საქმის გაკეთებაც მოასწრო.

ფაჩულიამ აშშ-ში საქართველოს საელჩოს და ქართული ასოციაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც შტატებში მცხოვრები ქართველი ბავშვებიც ესწრებოდნენ. „განათლება და დაუზარელი შრომა – აი, ეს არის წარმატების წინაპირობა“, – ასე მიმართა ზაზამ მათ.

ქართველმა ვარსკვლავმა მის მიერ თბილისში გახსნილი აკადემიის შესახებაც ისაუბრა, სადაც უკვე 250 ბავშვი ვარჯიშობს. აკადემიაში მოზარდებს უშუალოდ საკალათბურთო ნიუანსების გარდა, ფსიქოლოგიას და ინგლისურ ენასაც ასწავლიან. ზაზას აზრით, ეს კომპონენტები წარმატებული კარიერისთვის ასევე საჭიროა. „მინდა, ქართველი ბავშვები ნაღდ კალათბურთს ვაზიარო“, – დასძინა კაპიტანმა.

ფაჩულიას მადლობის გადახდა არც ამერიკაში მცხოვრები ქართველებისთვის დავიწყნია, რომლებსაც ზაზას პერსონალური ფანჯგუფიც აქვთ შექმნილი. „ჩემთვის ვაშინგტონში ჩამოსვლა ყოველთვის ამაღელვებელია, რადგანაც ყველაზე დიდი ქართული სათვისტომო მხვდება. თქვენი თანადგომა განსაკუთრებულ მოტივაციას მაძლევს. ამასთან, ამაყი ვარ, რომ საქართველოს წარმოვადგენ“.

მოგვიანებით ზაზა აღნიშნულ შეხვედრას ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზეც გამოეხმაურა, სადაც დაწერა: „დიდი მადლობა საქართველოს საელჩოს, ქართულ ასოციაციას და ქართველ ემიგრანტებს ესეთი დახვედრისთვის და ლამაზი საღამოსთვის“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რჩეულნი

10 ყველაზე ძვირად ღირებული გერმანელი ფეხბურთელი

გთავაზობთ 10 ყველაზე ძვირადღირებული გერმანელი ფეხბურთელის ჩამონათვალს.

გასაკვირი არაა, რომ აღნიშნულ ათეულში მოხვედრილთაგან ყველაზე მეტი, ოთხი ვარსკვლავი მიუნხენის „ბაიერნის“ ღირსებას იცავს. მათი ჯამური ღირებულება 205 მილიონი ევროა, „დორტმუნდიდან“ კი ჩამონათვალში სამი მოთამაშე ფიგურირებს და მათი საერთო ფასი 105 მილიონი ევროა.

რჩეულთა ფასები განსაზღვრულია ცნობილი საერთაშორისო ვებგვერდის თრანსფერმარკტ-ის მიხედვით.

10. ილკაი გიუნდოგანი
კლუბი: „დორტმუნდი“.
ასაკი: 25 წლის.
სატრანსფერო ფასი: 25 მილიონი ევრო.

9. შკოდრან მუსტაფი
კლუბი: „ვალენსია“.
ასაკი: 23 წლის.
სატრანსფერო ფასი: 25 მილიონი ევრო.

8. მათს ჰუმელსი
კლუბი: „დორტმუნდი“.
ასაკი: 26 წლის.
სატრანსფერო თანხა: 35 მილიონი ევრო.

7. ჟერომ ბოატენგი
კლუბი: „ბაიერნი“.
ასაკი: 27 წლის.
სატრანსფერო თანხა: 40 მილიონი ევრო.

6. მესუთ იოზილი
კლუბი: „არსენალი“.
ასაკი: 27 წლის.
სატრანსფერო თანხა: 40 მილიონი ევრო.

5. მანუელ ნოიერი
კლუბი: „ბაიერნი“.
ასაკი: 29 წლის.
სატრანსფერო თანხა: 45 მილიონი ევრო.

4. მარკო როისი
კლუბი: „დორტმუნდი“
ასაკი: 26 წლის.
სატრანსფერო თანხა: 45 მილიონი ევრო.

3. მარიო გიოტცე
კლუბი: „ბაიერნი“.
ასაკი: 23 წლის.
სატრანსფერო თანხა: 45 მილიონი ევრო.

2. ტონი კროოსი
კლუბი: „რეალი“.
ასაკი: 25 წლის.
სატრანსფერო თანხა: 50 მილიონი ევრო.

1. ტომას მიულერი
კლუბი: „ბაიერნი“.
ასაკი: 26 წლის.
სატრანსფერო თანხა: 75 მილიონი ევრო.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

კლაუდიას „მილანის“ ეიმედება

სულის კოკობი იტალიელი მოდელი კლაუდია რომანი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე კარგა ხანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და მოღვაწეობს, არაფრის დიდებით არ ივიწყებს თავის ცაფირუზხმელეთზურმუხტოვან სამშობლოს და ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მას საყვარელი საფეხბურთო კლუბისათვის არასოდეს უღალატია.

თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ კლაუდია ერთ დროს ევროპის მრისხანე გრანდის – „მილანის“ დიდი გულშემატკივარია და ბოლოდროინდელ ინტერვიუებში სულ იმას ამბობს, რომ გრძნობს, თუ როგორ დგება მისთვის და მილანელთა ყველა ქომაგისათვის ნეტარი და დიდებული ჟამი.

„როგორც ხედავთ, „მილანი“ ბოლო დროს სწორედ ისე ათამაშდა, როგორც უწინ და მე დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით ერთ ან ორ წელიწადში ჩვენი გუნდი დაუბრუნდება ევროპის და მსოფლიოს გრანდების რიცხვს. მე „მილანის“ ყველა ქომაგს ვარწმუნებ, რომ ეს დრო აუცილებლად დადგება!“ – ამბობს კლაუდია რომანი თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში და გამომწვევად იღიმება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ენა ჩვენი, ქართული

ცივილური თუ ცივილიზებული?

„...Россия демонстрирует по отношению к Азербайджану достаточно *цивильное* отношение...“ ხაზგასმული სიტყვის იშვიათ შემთხვევებში უადგილოდ ხმარების გავლენის ბრალი ხომ არ არის, რომ ჩვენც დაუეჭვებლად და ამიტომ უფრო ხშირად ვიყენებთ ამ ფორმას? ალბათ, ასეც არის. საკითხის არსის გასარკვევად ჯერ მოვიშველიოთ სხვადასხვა დროს სხვადასხვა გაზეთში დაძებნილი და ტელევიზიით მოსმენილი ფრაზები და მერე მივმართოთ ჩვეულ ხერხს — გავეცნოთ შესაბამის განმარტებას.

აი, ეს მაგალითებიც: „კაცობრიობას, რაც **ცივილური** განვითარების გზას დაადგა, სულ უფრო იპყრობდა ამბიციურობა“; „თუ... ლიდერი... საზოგადოებას **ცივილური** მეთოდებით აწვდის თავის იდეებსა და აზრებს... მისასალმებელია“; „მეუღლეებს შორის კონფლიქტი, უკეთეს შემთხვევაში, **ცივილურად,** განქორწინებით მთავრდება“; „საქართველოში კამათის და აზრთა **ცივილური** გაცვლა-გამოცვლის კულტურა დღემდე არ ჩამოყალიბებულა“; „ისე, როგორც არასდროს, საქართველოს დღეს **ცივილური** მსოფლიოს თანადგომა სჭირდება“ (აქაც იგრძნობა რუსულის (как никогда...) გავლენა. კაცი ამ შემთხვევაში ასე იტყოდა: „ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საქართველოს... თანადომა სჭირდება“. — **ავტ.**); „საზოგადოების ცივილურობა და არაცივილურობა...“ და ა. შ.

ამავე დროს აკადემიური წყარო — „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ გვეუბნება, რომ ცივილური ნიშნავს **სამოქალაქოს** (აქედან გამომდინარეობს სამოქალაქო სამართალი — **ცივილური** სამართალი, ცივილისტი, ცივილური ფურცელი, სამოქალაქო, არა სამხედრო, მაგალითად, ცივილური ტანსაცმელი. მოხმობილი განმარტების წყალობით ადვილად დავრწმუნდებით, რომ ზემოთ მოყვანილ წინადადებებში უადგილოდ არის ნახმარი ეს სიტყვა და მისგან ნაწარმოები ფორმები. ამ კონტექსტში უნდა იყოს: **ცივილიზებული, ცივილიზებულად, ცივილიზებულობა, არაცივილიზებულობა.**

ოთარ კაპანაძე

◎ კვება

რა სურსათი უნდა მიირთვათ წნევიანებმა?

ჰიპერტენზიასთან ბრძოლა ადამიანმა უნდა დაიწყოს ცხოვრების წესისა და კვების რეჟიმის გამოსწორებით. ასაკში შესვლის დროს, უმეტესობას აწუხებს ჭარბი წონა. გაითვალისწინეთ, რომ ჭარბ წონასა და არტერიულ წნევას შორის პირდაპირი კავშირია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცხიმის დაგროვებას მუცლის ირგვლივ. სხეულის მასის შემცირება კი ამცირებს არტერიული წნევის მატებას, აუმჯობესებს ცხიმოვან და ნახშირწყლოვან ცვლას. ძირითადი მნიშვნელობა ამ მხრივ ენიჭება მოხმარებული ცხიმისა და მარილის რაოდენობას. ცხოველური ცხიმები, რომლებიც ორგანიზმში საკვების სახით სვდება, შეიძლება, გახდეს ქოლესტერინის ჭარბი რაოდენობით დაგროვების მიზეზი. ქოლესტერინი მნიშვნელოვანი კომპონენტია ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, მაგრამ, მისი გადაჭარბებული რაოდენობის დროს იზრდება ათეროსკლეროზისა და გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკიც.

სასურველია, ადამიანმა საკვებ რაციონში შეზღუდოს ცხიმები, ხორცის პროდუქტები, შემწვარი საჭმელი და უპირატესობა მიანიჭოს რძისა და მცენარეულ პროდუქტებს, რადგან ისინი მცირე რაოდენობით შეიცავენ ცხიმებს. ასევე, აუცილებელია მარილის შეზღუდვაც, რადგან ის ორგანიზმში წყლის შეკავებას იწვევს. მარილის სადღეღამისო ნორმა ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს დაახლოებით 5 გრამი. უნდა დაიცვათ წონასწორობა საკვებით მიღებულ და დახარჯულ ენერგიას შორის. თუ მიღებული ენერგიის რაოდენობა ჭარბობს მის დანახარჯს, მაშინ ენერგიის ეს სიჭარბე ორგანიზმში ცხიმების სახით გროვდება. ნორმალური წონის შესანარჩუნებლად კი აუცილებელია კვების რეჟიმის დაცვა, რაც უზრუნველყოფს ენერგეტიკული დანახარჯების რეალურ დონეს.

თუ წნევა გაწუხებთ, მიირთვით უცხიმო ან ნაკლებცხიმიანი რძის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული, ნიგოზი, თხილი, მარცვლოვანი კულტურები; უპირატესობა მიანიჭეთ ცილოვან და მიკროელემენტებით, მაგალითად, კალიუმით, კალციუმითა და მაგნიუმით მდიდარ საკვებს, რადგან ანტიჰიპერტენზიული ეფექტი აქვს. ეცადეთ, საკვები დაძინებამდე 5 საათით ადრე მიიღოთ, რათა ორგანიზმი ღამით დაასვენოთ.

ზომიერი ფიზიკური აქტივობა ათეროსკლეროზს, არტერიულ ჰიპერტენზიას, გულის იშემიურ დაავადებას ეფექტურად ებრძვის. იმ ადამიანებს, რომლებიც ფიზიკურად აქტიურ ცხოვრებას ეწევიან, სისტემატურად ვარჯიშობენ, აღენიშნებათ სისხლის ლიპიდური სპექტრი, უმცირდებათ თრომბის წარმოქმნის საშიშროება, უვითარდებათ დამატებითი, წვრილი სისხლძარღვები, რომლებიც კვებავენ გულის კუნთს. ასეთი ადამიანის ორგანიზმი ადვილად თავისუფლდება მავნე ნივთიერებებისა და წიდებისგან. ასევე, საჭიროა რეგულარული ვარჯიში, კვირაში 3-ჯერ მაინც; სულ მცირე, 1 საათის განმავლობაში, კარგია ფეხით სიარული, ცურვა და ასე შემდეგ. ფიზიკური აქტივობა უნდა გახდეს ადამიანის ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილი. გარდა ამისა, უნდა მოერიდოთ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, ისწავლოთ მოვლენებისადმი სწორი მიდგომა და უარყოფითი ემოციების განეიტრალება. მოერიდეთ გადაღლას, მოახდინეთ გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის მონაცვლეობა.

თუ ხშირად გაწუხებთ მაღალი წნევა, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციებისა, უნდა შეზღუდოთ ალკოჰოლი და თამბაქო, არ უნდა შეცვალოთ ექიმის დანიშნული მკურნალობის კურსი თვითნებურად.

for.ge

◎ ლაშა მახარაძის საქმე

მკვლელზე შურისძიებას აპირებდა...

ნინო დიდებულიძემ სასამართლო პროცესზე შვილის მკვლელობასთან დაკავშირებულ უცნობ დეტალებზე ისაუბრა. თბილისის საქალაქო სასამართლოში ლაშა მახარაძის მკვლელობაში ბრალდებულის გიორგი ოქროპირიძის სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე პროცესზე დაკითხვისას მან განაცხადა, რომ მკვლელზე შურისძიებას გეგმავენ.

„ამ ზაფხულს ჩემთან მოვიდა ლაშას და ჩემი უფროსი ბიჭის მეგობარი არჩილ დათუნაშვილი და მომიყვა, რა და როგორ მოხდა. მითხრა — მე და ლაშა აბაშიძეზე ვიდექით და მეგობარს ველოდებოდით. უცებ მანქანა გაჩერდა და ოქროპირიძემ სამჯერ ესროლა, ეს წამებში მოხდა და ვერაფრის გააზრება ვერ მოვასწარი, გადმოვატრიალე ლაშა. სისხლი არ ჩანდა, პულსს ვუსინჯავდი, მაგრამ უკვე გაშავდაო. ეს ბიჭი მე არ მომატყუებს. აქამდეც ვიცოდი, რომ ვიღაც იყო ლაშასთან. აქამდე ვერ მოვედი თქვენთან, სტრესში ვიყავიო“, — განაცხადა მოკლულის დედამ.

სასამართლოზე პროკურორმა აღნიშნა, რომ დათუნაშვილს დაკითხვისას გამოძიებისთვის მსგავსი რამ არ უთქვამს.

ნინო დიდებულიძის განმარტებით, დათუნაშვილს არ უნდა, რომ ოქროპირიძე გასამართლდეს, რადგან თავად უნდა შური იძიოს.

„პირობას გაძლევ ნინო დეიდა, პირველი მე ვიქნები, ვინც მას ღორივით დაკლავსო. მას სხვა მენტალიტეტი აქვს და უნდა თვითონ გაასამართლოს. მე კი არ ვარ განწყობილი ისე, რომ ჩემი შვილის ამხანაგი ოქროპირიძეს დაემსგავსოს და მკვლელი გახდეს“, — განაცხადა დიდებულიძემ.

შეგახსენებთ, გიორგი ოქროპირიძეს ბრალად ედება ლაშა მახარაძის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში; მასვე ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება.

კვალი ნათელი

მალხაზ ბარამიძე

საქართველოს სამეცნიერო ინტელიგენციას გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი მამულიშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი 1992-2004 წლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, ცნობილი მეცნიერი, აფხაზეთის სიძველეების, არქეოლოგიისა და უძველესი ისტორიის მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი მალხაზ ბარამიძე.

დიდია მალხაზ ბარამიძის დამსახურება ქართული არქეოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში. ის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

განსაკუთრებულია პროფესორ მალხაზ ბარამიძის დამსახურება აფხაზეთის არქეოლოგიური ეპოქების მეცნიერულ შესწავლაში. აღსანიშნავია მის მიერ 1976 წელს ჩამოყალიბებული აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა 15 წლის განმავლობაში აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

მის მიერ აღმოჩენილი, აღნუსხული და მეცნიერულად შესწავლილია 200-მდე სრულიად ახალი ძეგლი აფხაზეთში, მოცემულია მათი მეცნიერული ანალიზი, ინტერპრეტაცია და დათარიღება.

პროფესორ ბარამიძის მეცნიერული მემკვიდრეობა მოიცავს 250-მდე ნაშრომს, მათ შორის, ოთხ მონოგრაფიას, რომლებიც თარგმნილია და გამოქვეყნებულია საფრანგეთში, გერმანიაში, თურქეთში, რუსეთში.

აფხაზეთის საზოგადოება ღრმა პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით ემშვიდობება მალხაზ ბარამიძეს ფასდაუდებელი, პატრიოტული და მამულიშვილური მოღვაწეობისათვის აფხაზეთში, საქართველოს ძირძველი კუთხის, აფხაზეთის მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული სიყვარულის შედეგია აფხაზეთის საზოგადოებაში მოპოვებული უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა, რომლითაც ის სარგებლობდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. პროფესორი მალხაზ ბარამიძე, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი და პატრიოტი, აფხაზეთში საომარი მოქმედებების პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა თბილისის აეროპორტის შტაბის მუშაობაში, სოხუმში სურსათისა და მოხალისეების გაგზავნაში, საომარი მოქმედებების ზონაში დაჭრილებისა და ლტოლვილების ევაკუაციის საქმეში.

მალხაზ ბარამიძე აფხაზეთის საზოგადოების, კოლეგების მეხსიერებაში დარჩება, როგორც უმაღლესი რანგის მეცნიერი, ჭეშმარიტი პატრიოტი მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, თავმდაბალი და მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე პიროვნება.

მისი ნამოღვაწარი, მეცნიერული ნაშრომები ფასდაუდებელ გზამკვლევად მოემსახურება საქართველოს ძირძველი კუთხის — აფხაზეთის უძველესი ისტორიის შემსწავლელ მეცნიერთა და არქეოლოგთა არაერთ თაობას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

ძმები ბესიკ, გიორგი, ბიძა ზურაბ, ბიძაშვილები თეა, ნესტან, რუსუდან მაჩაიძეები, მამიდაშვილი მანუჩარ კაციტაძე ოჯახებით იუწყებიან

პაატა მაჩაიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9 XII, 17 სთ. მისამართი: ნიშნიანიძის ქ. 31 (ყოფილი ნაკაშიძის). გამოსვენება 10 XII, 14 სთ. ანჩისხატის ეკლესიიდან.

◎ კარიკატურისტის თვალით

ამირან ერაძის ნახატი.

SIC!

საღ დედის რძე, საღ ხელოვნური კვება?!

რამდენად არიან დაცულნი ქართველი პაციენტები ექიმების უკანონო გარიგებისგან, რომლებიც ფარმაცევტულ კომპანიებთან შეთანხმებით გასამრჯელოს ბონუსური სისტემით იღებენ? რატომ გახშირდა სამშობიარო სახლებში არაკეთილსინდისიერი მედპერსონალის მხრიდან რჩევები, თითქოს დედის რძეს ხელოვნური საკვები სჯობს? რა კავშირშია ეს ყველაფერი ხელოვნური კვების კომპანიების აგრესიულ მარკეტინგთან?

For.ge-სთან საუბარში „ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის“ თავმჯდომარე **თინა ტურძილაძე** აცხადებს, რომ ფარმაცევტული ინდუსტრიის გავლენა ექიმებზე ძალიან დიდია. სამწუხაროდ, ეს პირდაპირ აისახება ექიმების კლინიკურ გადაწყვეტილებებზე და პოლიპრაგმაზიის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია, როცა ბევრი წამალი ინიშნება, ზოგჯერ საფრთხის შემცველი კომბინაციების სახითაც.

თინა ტურძილაძის თქმით, ჯანდაცვის პოლიტიკის მონიტორინგის ფარგლებში მათ ბევრი ასეთი „დანიშნულების“ შესახებ შეიტყვეს. ისეთი ფაქტებიც დააფიქსირეს, როცა ერთი ფორმულის წამალი ერთდროულად სამი სხვადასხვა ბრენდის სახით ჰქონდა დანიშნული პაციენტს.

„სამწუხაროდ, ფარმაცევტული ინდუსტრიისა და ექიმების ფორმალური თუ არაფორმალური კოოპერაცია, ხშირად წამლების გაყიდვების თაობაზე შეთანხმებას წარმოადგენს, რაშიც ექიმები ბონუსური სისტემით იღებენ ანაზღაურებას. ანაზღაურების სქემები სხვადასხვაა. მაგალითად, საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა, როცა ექიმი კონკრეტული წამლის დანიშვნისთვის ამ წამლის ღირებულების გარკვეულ პროცენტს იღებს (10%, 50% და მეტი). ამ პრაქტიკას ფარმაცევტული ინდუსტრია გაყიდვების გაზრდისთვის იყენებს. გარდა ამისა, არსებობს ფასდაკლების ბარათი, რომელსაც ექიმი აძლევს პაციენტს და ამ ბარათით აგზავნის კონკრეტულ საცალო ქსელში. ცხადია, ექიმი ამაში ბონუსებს ღებულობს. ამერიკაში და ევროპის რიგ სახელმწიფოებში ფარმაცევტული ინდუსტრიის საპრომოციო ხარჯები (ანუ თანხები, რასაც ინდუსტრია ჯანდაცვის პერსონალს უხდის) საჯაროა. უფრო მეტიც, ფარმაცევტულ კომპანიებს ოფიციალურ ვებგვერდზე ექიმების სახელისა და გვარის მითითებით დეტალური ინფორმაციის განთავსება ევალებათ, თუ რა მატერიალური, ან არამატერიალური სარგებელი აქვთ მათთვის გადახდილი. ეს ნებისმიერ საქონელსა და მომსახურებას ეხება, რომლის ფასიც ათ დოლარს აღემატება. ამ კანონს ამერიკაში ჰქვია „სანშაინ აქტი“. თავის მხრივ, ამერიკელ პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ, ექიმის სახელი და გვარი მონაცემთა ბაზაში მოიძიონ და შეიტყონ, რა თანხები აქვს დახარჯული ფარმაცევტულ ინდუსტრიას ამ ექიმზე. ცხადია, ეს რეგულაცია ბოლომდე პრობლემას ვერ ხსნის, მაგრამ მისი შეფასების შესაძლებლობას იძლევა. ქართულ რეალობაში კი პრობლემა უფრო ღრმა და მწვავეა, ვინაიდან არის ეჭვი, რომ აქ სამედიცინო პროვაიდერები ფარმაცევტული ინდუსტრიის მფლობელობაში არიან“, — აცხადებს თინა ტურძილაძე.

პედიატრთა აკადემიის პრეზიდენტი **ქეთი ნემსაძე** For.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ საქართველოში აქცენტს აკეთებენ ლიცენზირებულ მედიკამენტებზე, ამ დროს კი, სამწუხაროდ, ქალის ძუძუს რძე არ არის ლიცენზირებული. მისი თქმით, საქართველოში არსებობს კანონი „ძუძუთი კვების ხელშეწყობისა და ხელოვნური საკვების კონტროლირებადი მოხმარების შესახებ“, სადაც მკაფიოდ წერია, რომ ექიმს, სამედიცინო დარგის მუშაკს არ აქვს უფლება, ძუძუთი კვებაზე მყოფ პაციენტს, ან ორსულ ქალს რომელიმე ხელოვნური საკვები ურჩიოს. ეს კრიმინალურ ქმედებად ითვლება.

უფრო მეტიც, ექიმი ვალდებულია, ჩვილის დედას ბუნებრივი კვების უპირატესობის შესახებ ზუსტად აუხსნას. ეს მნიშვნელოვანია, რადგან როდესაც ასოცირების ხელშეკრულებაზე მიდგება საქმე, ჩვენს ქვეყანას ყველა მოსთხოვს, დაცულ იყოს საერთაშორისო კანონი „ხელოვნური საკვების აგრესიული მარკეტინგის რეგულირების შესახებ“, რომელიც 1989 წელს გადაიქცა საქართველოს კანონად და ეს კანონი ძალიან დიდი პროგრესი იყო.

„ამ კანონის დარღვევა ბავშვთა ჯანმრთელობის წინააღმდეგაა მიმართული. სამწუხაროდ, სამშობიარო სახლიდან გამოსულ ძალიან ბევრ დედას ვნახულობ, რომლებიც ხელოვნურ საკვებს აჭმევენ ჩვილებს. ეს დაახლოებით, ნარკოტიკის პირველი დოზის ტოლფასია, რადგან როდესაც ბავშვს სამშობიაროში საწოვარი ბოთლიდან საკვებს მისცემ, ის უარს იტყვის დედის რძეზე. სამშობიაროს თანამშრომლები დედებს ეუბნებიან, თითქოს ხსენი ცუდია, პატარა მშიერია და ხელოვნური საკვების მიცემა მისთვის აუცილებელია. სინამდვილეში, მუცლად ყოფნის პერიოდში ბავშვის კუჭი, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებს და ის მცირე რაოდენობით იღებს წყალს. ამიტომ ყველა კანონმდებლობით, აკრძალულია სამშობიარო სახლებში ხელოვნური საკვების უფასო ნიმუშების შეტანა. საექიმო საქმიანობის შესახებ კანონმდებლობით, ექიმს პაციენტისთვის ზიანის მიყენების უფლება არ აქვს“,-აცხადებს ქეთი ნემსაძე და განმარტავს, თუკი დასაბუთდება, რომ პაციენტს ესა თუ ის მედიკამენტი არ ესაჭიროება და ექიმი მას მაინც უნიშნავს თანხის ინტერესის გამო, ეს უკვე კრიმინალია.

მანანა ნოზაძე

ინფორმაცია

„ექსტაზს“ არ ეშვებიან

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული გიორგი მ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 88 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“ ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებით ბრალდებულს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

არარეგისტრირებულ იარაღს ავტომანქანაში ინახავდა

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით, 1979 წელს დაბადებული ვლადიმერ ხ. თბილისში, ფეიქრების ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა გრიგოლ ხ-ს კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას „მარგოლინის“ კონსტრუქციის არარეგისტრირებული პისტოლეტი 1 მჭიდითა და 3 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

რეკლამა **მაჩაბლის ქ. №7.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 293-37-87

ცინცხალი ანეკდოტები

— აბა, როგორ იქცევი, შე თავხედო, ზრდილობა საერთოდ დაკარგე? გეუბნები, ჩემი ცოლი წუთი წუთზე იმშობიარებს-მეთქი და, შენ კი მეკითხები, ვისგან შობს ბავშვსო?

— მაპატიე, მეგონა, რომ იცოდი!

* * *

— მიხო, იმედი მაქვს, დღეს ვერ დავინახავ, რომ ვინმესგან იწერ საკონტროლოს! — ეუბნება მასწავლებელი.

— მეც მაგის იმედი მაქვს.

* * *

— ვერ მიმასწავლით ყველაზე მოკლე გზას სადგურამდე?

— ვერა.

— ადგილობრივი არა ხართ!

— ადგილობრივი კი ვარ, მაგრამ ტაქსისტი გახლავართ.

* * *

— იცი, მასზე გაფიქრებაც კი საოცარ დღეში მაგდებს: გულის ცემა მიჩქარდება, ხელები მიკანკალებს, მუხლები მეკეცება, ლაპარაკის თავიც არა მაქვს.

— რა ჰქვია იმას, ვისზე გაფიქრებაც ასე გტანჯავს?

— გამოცდები.

* * *

— მე ქალს მხოლოდ მაშინ ავეტორღიალები და მივაწვები ხოლმე, როცა მთვრალი ვარ... — ამბობს დარცხვენილი კაცი.

ქალმა უხმოდ ამოიღო ჩანთიდან ღვინის ბოთლი და ჭიქები.

* * *

— დედი, რატომ გეშინია ღამით სახლში ჩემი მარტო დატოვება, მე ხომ უკვე პატარა არა ვარ? — ამბობს გოგო.

— მაგიტომაც მეშინია...

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე